ფულიანადი ფეცანეთე
პროლეტარიელო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კ. ფრ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ფასი 14—70, ნახევრის—35—17, სამოთხეში 10—50, ერთ. ნომერის—3—91.

კვირა, 27 აგვისტო 1933 წ. № 197 (3753)

# ᲛᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐᲡ

## საზოგადოებრივი კვების მაღალი ხარისხისათვის

ორი წლის უკან საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა ისტორიული დადგენილება საზოგადოებრივი კვების გარდაქმნის შესახებ. ამ დადგენილების განხორციელებისათვის, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი კვების ქსელის გარდაქმნის და მუშათა კვების შემდგომი გაუმჯობესების ბოლშევიკურ პროგრამას, გასული ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. დღეს საზოგადოებრივი კვების ქსელი საბჭოთა კავშირში ემსახურება 15 მილიონამდე მშრომელს მარტო ქალაქად. საზკვებით ძირითადად უზრუნველყოფილია მრეწველების წამყვანი დარგების და საწარმოების მუშები.

საქართველოში, ამ დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზკვების ქსელი და გაუმჯობესდა მისი მუშაობის ხარისხი. განსაკუთრებული გარდატეხა დაიწყო მუშათა კვების, კერძოდ მსხვილ ფაბრიკა - ქარხნების და მაღაროების მუშათა კვების გაუმჯობესებაში დარგში. დღეს უკვე შეგვიძლია დავასახელოთ არა ერთი და ორი ფაბრიკა და ქარხანა, სადაც მუშათა კვება სანიმუშოთაა დაყენებული, სადაც ამ საქმეს ექცევა ისეთივე სერიოზული ყურადღება, როგორიც საწარმოო დავალებათა შესრულებას.

მარტო მუშათა დახურული სასადილოები ამჟამად საქართველოში აკმაყოფილებს 80 ათასამდე მშრომელს. ამასთან, ბევრია ისეთი მოწინავე სასადილო, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში კეთდება მაღალი ხარისხის **რამოდენიმე** კერძი. მაგრამ, ეს არ შეიძლება ითქვას **საერთოდ** საზკვების ქსელის შესახებ, რადგან ეს ქსელი საჭიროებს გარდაქმნას და შემდგომ გადახალისებას განსაკუთრებით ხარისხობრივ მაჩვენებელთა ხაზით.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის გასული წლის სექტემბრის პლენუმმა მოგვცა დირექტივა **საკუთარი სასურსათო ბაზის** შექმნის შესახებ. პლენუმის რეზოლიუციაში საბჭოთა ვაჭრობის განვითარების შესახებ ნათქვამი იყო: **„ქარხნების, ფაბრიკების, ტრანსპორტის და სხვა საწარმოთა ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ მათ ქონდეთ არა მარტო კოოპერატივი და სასადილო, არამედ აგრეთვე თავიანთი სასოფლო - სამეურნეო საწარმოები, რომელნიც იძლეიან დამატებით სასურსათო პროდუქტებს მუშების მოსამარაგებლად“.**

ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება ჩვენში ბოლომდის არ არის შესრულებული. საკუთარი სასურსათო ბაზის შექმნა წარმოადგენს როგორც საწარმოების, ისე სასადილოებიდან გადაუდებელ ამოცანას, რომელიც ყოველ მიზეზს გარეშე უნდა განხორციელდეს. მაგრამ მარტო საკუთარი ბაზის შექმნა არ სწყვეტს სასადილოს კარგი მუშაობის საკითხს. საჭიროა **თვითდამზადების მაქსიმალურად გაშლა.** სასადილოს მუშაკთა ხელში თვითდამზადება წარმოადგენს იმ იარაღს, რომლის მეხერხებულად გამოყენებამ უნდა უზრუნველჰყოს საქმელის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და სასადილოს, როგორც **სამეურნეო ერთეულის განმტკიცება.** ამ შემთხვევაში ინიციატივა უნდა გამოიჩინონ სასადილოს მუშაკებმა, ისინი უნდა გახდენ თვითდამზადების და საკუთარი სასურსათო ბაზის შექმნისათვის ბრძოლის ორგანიზატორები და ამ საქმეში აქტიურად ჩაიბან აგრეთვე მუშათა და დიასახლის — ქალთა ფართო მასები.

ახლა, როდესაც საზკვების ქსელის განვითარებაში მოპოებულია გარკვეული მიღწევები, ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა **სისტემატიური, შეუპოვარი ბრძოლა კვების მაღალი ხარისხისათვის.** ამ მიზნით ყოველმხრივ უნდა წაეახალისოთ და დავნერგოთ საქმელის **წუნდადების** პრაქტიკა, რასაც უკვე მიმართა ზოგიერთმა სასადილომ; ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ ბოლო მოუღოთ დაწუნებული ან დაბალი ხარისხის საქმელების გაშვების ცალკეულ შემთხვევებს, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი. დაბალი ხარისხის საქმელი მიჩვენებელია არა ცუდი მომარაგების, არამედ სასადილოს მუშაკთა ცუდი მუშაობის, კერძოდ მზარეულის ცუდი მუშაობის. ეს უნდა შეიგნოს საზოგადოებრივი კვების თვითეულმა მუშაკმა.

სასადილოების დიდ უმრავლესობაში დღესაც არაა ბოლომდის გატარებული აბმ. **სტალინის** მითითებანი. სამეურნეო ანგარიში დღემდის უცნობია. ზოგი ჩვენი სასადილოსათვის, იგი არ წარმოადგენს მათი მუშაობის მეთოდს. სხვა მიზეზთა გარდა ეს-იმის შედეგია, რომ სასადილოების დიდ უმრავლესობაში დღემდის მოუგვარებელია **ძირეული ალრიცხვა და ანგარიშგება, განსაკუთრებით პროდუქტების ხარჯვის ალრიცხვა.** ალრიცხვის გარეშე კი, — **არ არსებობს ნამდვილი სამეურნეო ანგარიში.** სასადილოებში ალრიცხვა - ანგარიშების დაყენებას, როგორც სამეურნეო ანგარიშის დანერგვის ერთ - ერთ უმთავრეს პირობას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამასთან, საჭიროა შემდგომი ღონისძიებების გატარება სასადილოს მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი შრომის ანაზღაურების სისტემის გარდაქმნისათვის პარტიის და ხელისუფლების უკანასკნელ მითითებათა საფუძველზე, საჭიროა ახალი ბოლშევიკური კადრებით საზკვების ქსელის შევსება და **განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენა მზარეულისადმი, საზოგადოებრივი კვების ამ ინჟენერისადმი.**

მზარეული წარმოადგენს ცენტრალურ ფიგურას სასადილოში, ძირითადად იგი სწყვეტს საქმელის ხარისხს. სამწუხაროდ დღემდის ძალიან ცოტაა გაკეთებული იმისათვის, რომ მზარეულს შეუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები, მივმართოთ მისი ინიციატივა და ენერგია სასადილოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ, ნამდვილად გადავაქციოთ იგი საზოგადოებრივი კვების ორგანიზატორად. მზარეულთა მიმდინარე კონკურსმა გამოაქ�eავნა, რომ ჩვენ გვყავს მოწინავე, გამოცდილი მზარეულები, **საზკვების ნამდვილი იზოტოვები,** რომელთაც არ იცნობენ საზკვების მუშაკთა ფართო მასები. ამ კარგი მზარეულების, კვების ამ იზოტოვების დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი გამოცდილების გადაცემას, ვერ ასწავლიან სხვებს. ამაში მარტო მზარეულები არ არიან დამნაშავე. პირველ რიგში აქ ბრალი მიუძღვის საზკვების ორგანიზაციებს, მათ შორის საზკვების მუშაკთა პროფკავშირებსაც. მომავალში საჭიროა მეტი ინიციატივის გამოჩენა, კარგი და მოწინავე მზარეულების გამომჟღავნება, გამოცდილებათა სოციალისტური გაზიარების ორგანიზაცია და ამ მოძრაობის, — იზოტოვური მოძრაობის გაშლა საზკვების ფრონტზეც.

საზკვების ქსელში კიდევ მოიპოვებიან კლასობრივად უცხო ელემენტები, ყოფ. კულაკები, ვაჭრები და სხვები, რომელნიც ცდილობენ მავნებლობის გზით მშრომელთა თვალში სასელი გაუტეხონ საზოგადოებრივ კვებას. ამ მავნებლების და კლასობრივი მტრების სახე საკმაოდ გამომჟღავნდა მოსკოვის სამი ქარხნის სასადილოს მუშაკთა კონტრ - რევოლიუციური ჯგუფის პროცესზე. ამ პროცესმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ **საზოგადოებრივი კვების ფრონტიც კლასობრივი ბრძოლის ფრონტია, რომ კლასობრივი სიფხიზლე უნდა იყოს ამ ფრონტზე კომუნისტების, კომკავშირლეგის და უპარტიო მუშაკთა უმთავრესი თვისება.** დაუნდობელი და სისტემატიური ბრძოლის გაშლა სახელმწიფო - კოოპერატიული ქონების მტაცებლობის, განიავების და გაფლანგვების წინააღმდეგ საზკვების ქსელში წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას, რომლის ირგვლივ უნდა დავრაზმოთ ფართო საბჭოთა საზოგადოებრივობა და პირველ რიგში საზკვების მუშაკები.

საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება შეუძლებელია **ხელმძღვანელობის მეთოდის გარდაქმნის გარეშე.** საზკვების ცენტრალურმა დაწესებულებებმა (საქ. საზკვები, სამმართველო, საზკვების ტრესტები და სხვ.) არსებითად უნდა გარდაქმნან ხელმძღვანელობის მეთოდი ისე, როგორც ამას პარტია მოითხოვს. საჭიროა ძირეულ ოგროს — სასადილოს დავეხმაროთ ყოველდღიურად, ვასწავლოთ სასადილოს მუშაკებს ბრძოლა კვების გაუმჯობესებისათვის. ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ ხელმძღვანელობის მეთოდის გარდაქმნასთან ერთად, **სასადილოს განვამტკიცებთ სპეციალისტებით, გამოცდილი მუშაკებით,** რომელნიც ახლა ცენტრალური აპარატის კანცელარიებშია თავმოყრილი და რომელნიც აუცილებლად უნდა გადავისროლოთ ძირეულ რგოლებში—სასადილოებში.

პირველ რიგში კომუნისტები და კომკავშირლები აგებენ პასუხს საზკვების ქსელის მუშაობისათვის. ისინი გაგზავნა პარტიამ ამ საპასუხისმგებლო ფრონტზე და დაავალა სანიმუშოდ მოაწყონ მუშათა საზოგადოებრივი კვება. ამ დარგში მომუშავე კოოპერატივის და კომკავშირლები ვალდებული არიან სათავეში ჩაუდგენ საზკვების მუშაკთა შემოქმედებით ენტუზიაზმს, გაშალონ და უმაღლეს საფეხურზე აიყვანონ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, ახალი წესით გარდაქმნან მუშაობა და ბოლომდის განხორციელონ პარტიის და ხელისუფლების დირექტივები საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

## ᲐᲚᲘᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲙᲣᲚᲐᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲝᲭᲐᲟᲘ ᲙᲣᲠᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

(ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

სიღნაღის რაიონში მარცვლეულ კულტურების მოსავლის აღება უკვე დამთავრდა. ამჟამად მიმდინარეობს ლეწვა. უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით რაიონის უკანა მხარეში, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ტემპებს აშკარა მოდუნება დაეტყო, რაც საფრთხეს უქმნის წლიური გეგმის ვადაზე შესრულებას.

20 აგვისტოს რაიონს სახელმწიფოსათვის მარცვლეული ჩაბარებული ქონდა 25.029,4 ცენტნერი, ანუ წლიური გეგმის 86,6 პროც., აქედან **კოლემურნეობებს** ჩაბარებული აქვთ 7.666,5 ცენტნერი (წლიური გეგმის 99,58 პროც.). ხოლო **ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეებს**—16.213,9 ცენტნერი (გეგმის 82,78 პროც.).

**კულაკური, შეძლებული მეურნეობები პურის ჩაბარების მტკიცე დავალების შესრულებაში აშკარა საბოტაჟს ეწევიან. მათ 1617 ცენტნერის პურის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 1149 ცენტნერი,** მტკიცე დავალების 71 პროც. ეს იმ დროს, როცა კოლმეურნეობებს შესრულებული აქვთ გეგმის 99,6 პროც.

რაიონის ზოგიერთი სას. საბჭო (მირზაანი, ბოდბე, ბოდბისხევი) და ძირეული პარტიული ორგანიზაციები არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს იმ კულაკების წინააღმდეგ, რომლებიც აჭიანურებენ მტკიცე დავალების შესრულებას. მირზაანის და ბოდბის სას. საბჭოს თავმჯდომარეები: **ალ. თათანაშვილი და ი. ბეგაშვილი,** რომლებმაც ოპორტუნისტული შემარიგებლობა გამოიჩინეს კულაკების მიმართ და მოექცენ მათი გავლენის ქვეშ.

მირზაანისა და ბოდბის სას. საბჭოს მაგალითი ყველა სას. საბჭომ უნდა გაითვალისწინოს. კულაკების საბოტაჟი ძირშივე უნდა აღვკვეთოთ. არავითარი ლმობიერება კულაკებისა და მათი აგენტების მიმართ.

**დ. მჭედლიშვილი.**

## ᲐᲛᲮ. ᲢᲔᲚᲛᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲤᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ

**სოფ. გოორგოსტალის** ამხ. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთ სანიმუშო კოლმეურნეობად ითვლება ყოფ. მცხეთის რაიონში. კოლმეურნეობაში, რომელშიც არიცხება 45 კომლი, ჩამოყალიბებულია ორი ბრიგადა. ბრიგადები თავის მხრივ დაყოფილია ჯგუფებად.

ნათესებს დამუშავების და მოსავლის აღების პერიოდში კოლმეურნეობაში ძალები სწორად იყო განაწილებული. კოლმეურნეობის თვითეულმა წევრმა იცოდა თავისი მოვალეობა და ადგილი. რაციონალურად და სრული დატვირთვით იყო აგრეთვე გამოყოფილი მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალა.

შრომის დისციპლინის განმტკიცების და ბრიგადებს და ჯგუფებს შორის სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად **ამხ. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ მოსავლის აღება 115 ჰექტარზე 29 ივლისისათვის დაამთავრა.** მოსავლის აღების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევოდა დანაკარგებთან ბრძოლის საკითხს. ამ საქმეში იყენებდენ ცხენისა და ხელის ფოცქებს.

ხსენებულმა კოლმეურნეობამ ლეწვა აგვისტოს პირველ რიცხვებში დაამთავრა. **სახელმწიფოსათვის** მარცვლეულის პირველ რიგში ჩაბარება ამაცანა — კოლმეურნეების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. **კოლმეურნეობამ „ზაგოტზერნოს“ დიდუბის მიმღებ პუნქტს უკვე ჩააბარა 400 ფუთი პური და 200 ფუთი ქერი, ამით მათ წლიური დავალება 100 პროცენტით შეასრულეს.**

შემოდგომისათვის სათესლე გამოყოფილია საუკეთესო ხარისხის 800 ფუთი ხორბალი და 400 ფუთი ქერი, გამოყოფილია აგრეთვე სათესლე მაესალა 1934 წლის გაზაფხულისათვის.

კოლმეურნეობა ამ დღეებში დაამთავრებს დასაზღვევი, საფურაჟე ფონდების და სესხის დაბრუნებას, რის შემდეგ შეუდგება წევრებს შორის მოსავლის განაწილებას შრომადღეების მიხედვით.

ამხ. ტელმანის სახ. კოლმეურნეობას მოსავლის აღებაში და ლეწვაში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კონკრეტულ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევდენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეა **ამხ. კოტლობა ფაიფერი;** კოლმეურნეობას ყავს საუკეთესო დამკვრელები, რომლებიც სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებენ მოსავლის აღების დაწესებულ ნორმებს. ესენი არიან: **იოსებ ბალი, ალბერ კაისერი, ერნესტი ფაიფერი, ვარლამ გოორგობიანი, ლიზა გილდიბრამი და სხვ.**

ამხ. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა წითელი დაფის კანდიდატია.

**ი. ხოშაბაევი.**

## 6 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

**ყვარელი,** 25 აგვისტო, კოლ მეურნეობებში მეტი და უკეთესი ხარისხის მოსავლის მიღებისა და სა შემოდგომო თესვისათვის მზადებისთან დაკავშირებით ყვარელის რაიონში ივლის-აგვისტოს განმავლობაში **ჩამოყალიბდა 6 ახალი კოლ მეურნეობა.** ხოლო არსებულ კოლმეურნეობებს შეემატა 155-ზე მეტი მშრომელი ერთპიროვნული მეურნე.

**ზავრაშვილი.**

## ᲜᲐᲗᲔᲡᲔᲑᲘ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲗ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ

(ᲡᲝᲤ. ᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ (ᲡᲐᲛᲢᲠᲐᲦᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐ ᲕᲐᲛᲯᲦᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ)

ჩვენმა კოლმეურნეობამ, რომელშიც გაერთიანებულია 388 კომლი, თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ნათესების მაღალხარისხოვნად დამუშავებას. ამ მიზნით კოლმეურნეობაში ჩამოვაყალიბეთ ბრიგადის შემმოწმებელი კომისია, რომელიც სისტემატიურად ამოწმებდა ცალკე საწარმოო ბრიგადების და ჯგუფების ნამუშევარს.

სიმინდის პირველი თოხნის ჩატარების დრო კომისიის მიერ დაწუნებული იქნა № 6 ბრიგადის მე-3 ჯგუფის ნამუშავარი; აღნიშნულმა ჯგუფმა ნათესი ხელმეორედ გათოხნა.

ამ მაგალითის შემდეგ ბრიგადებმა გააჩაღეს ბრძოლა ნათესების დამუშავებაში მაღალი ხარისხის მისაღწევად. ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცეს № 1 და № 10 ბრიგადებმა; პირველი ბრიგადის ხელძღვანელად ითვლება ამხ. **ჯ. ბახტაძე,** ხოლო მეათის **გ. კოხრეიძე;** აღნიშნული ბრიგადების დამკვრელებია: **ვ. ჯვარშეიშვილი, ლ. კოხრეიძე და კ. კოპალეიშვილი.**

კოლმეურნეობაში მთავარ ყურადღებას ვაქცევთ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ნათესების დამუშაგების პერიოდში სამუშაო დღეების არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის გამეკეთებამ შრომა-დღეები ჩამოუკლო 6 კოლმეურნეს.

ამჟამად ჩვენ გაცხოველებით ვემზადებით სიმინდის მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის. **უკვე შევადგინეთ მოსავლის აღების გეგმა, მოსავლის შესანახად მზად გვაქვს 300 ბეღელი, დავამთავრეთ მანქანა-იარაღების და ურმების შეკეთება და სხვ.**

ასეთ შედეგს ჩვენ მივაღწიეთ ამხ. **სტალინის** მითითებების და დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშ. ყრილობის ნომინაციის რეალიზაციის საფუძველზე.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ჩვენი ნაკლიც. ჩვენ დაგვიანებით შევუდექით საურმე გზებისა და ბოგირების შეკეთებას, მუშა-პიროტყვისათვის ვერ მოვამარაგეთ ნალების საჭირო რაოდენობა და სხვ.

ადგილობრივი პარტიული, და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით, ისე, როგორც დღემდე, ჩვენ ვიბრძოლებთ ყველა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

უახლოეს დროში ჩვენს კოლმეურნეობას გადავაქცევთ ბოლშევიკურ კოლმეურნეობად. ხოლო კოლმეურნეებს — შეძლებულებად.

**ვ. კოხრეიძე.**



დამკვრელ კოლმეურნე ქალთა ბრიგადა მოსავლის აღებაში

## „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲨᲝᲒᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲪᲣᲓᲐᲗ, ᲨᲝᲒᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ, ᲨᲝᲒᲘ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ,—ᲓᲐᲔᲬᲘᲤ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲤ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ“.

(ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ).

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲤᲐ

### ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲓᲐᲤᲐᲖᲔ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲚᲘᲐ:

### სოფ. მარტყოფის ენგელსის სახ. კოლმეურნეობა

(ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

(ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

კოლმეურნეობას დათესილი ჰქონდა პური და ქერი 211 ჰექტარზე. ამ ფართობზე მოსავლის აღება მთლიანად დაამთავრა 29 ივლისს. დანაკარგებთან მებრძოლმა ბრიგადებმა კოლმეურნეობის აღებულ ფართობიდან შეაგროვეს 200 ფუთი ხორბალი.

**სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა კოლმეურნეობამ 30 ივლისისათვის 100 პროცენტით შეასრულა**—ჩაბარა 141 ცენტნერი და 67 კილოგრამი ხორბალი და ქერი.

სათესლე ფონდში (შემოდგომისა და 1934 წლის გაზაფხულისათვის) გამოყოფილია 295 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის პური. დამზღვევ ფონდში გადაიდო 44 ცენტნერი. სახელმწიფოს სესხი კოლმეურნეობას არ ჰქონია.

ყველა ვალდებულებების შესრულების შემდეგ კოლმეურნეობა შეუდგა წევრებს შორის მოსავლის განაწილებას შრომა-დღეების მიხედვით. **თვითეულ კოლმეურნეს შრომა-დღეზე შეხვდა 12 კილოგრამი პური და ქერი.**

კოლმეურნეობის თავმჯდომარეა—**მ. ბერიძიშვილი.**

მემინდვრეების ბრიგადირია—**ხ. ტოტავაშვილი.**

საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნეა—**ი. ივანიშვილი.**

### ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ, ᲠᲐᲘᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲜᲥᲐᲜᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲣᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲓᲐᲤᲐᲖᲔ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ:

### სოფ. ახალციხის კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯი“

(ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

კოლმეურნეობამ მოსავლის აღება 80 ჰექტარზე 21 ივლისს დაამთავრა. ლეწვა დამთავრდა 5 აგვისტოს.

კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე, 5 აგვისტოს 100 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა, ჩაბარა 285 ფუთი **საუკეთესო ხარისხის** ხორბალი **და ქერი,** ვადამდე მთლიანად გადაუხადა სამ.-სატ. სადგურს ნატურგადასახადი სადგურის მიერ შესრულებულ სამუშაოებისათვის. გამოყოფილია სათესლე ფონდი 300 ფუთის რაოდენობით შემოდგომასა და 1934 წლის გაზაფხულზე დასათესად. გარდა ამისა გამოიყო დამზღვევი ფონდი.

ყველა ვალდებულებების შესრულების შემდეგ **წელს თვითეული კოლმეურნე ერთ შრომა-დღეზე მიიღებს 8 კილოგრამ პურს გასული წლის 4,5 კილოგრამის ნაცვლად.**

კოლმეურნეობის თავმჯდომარეა — **ლუკა ბარნოვი.**

კოლმეურნეობის საუკეთესო დამკვრელებია —**მიტო ჯღლანტიაშვილი, სანდრო ხობიაშვილი, იოსებ ბარნოვი.**

## ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲢᲝᲙᲘᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲨᲚᲐᲡ

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ**

**ᲢᲝᲙᲘᲝ,** 24 აგვისტო. ყველა გაზეთები აქცევენ ყურადღებას საბჭოთა ფინანსიური ექსპერტის ამხ. შარიშნიკოვის, 19 აგვისტოს მოსკოვიდან ტოკიოში გამგზავრების შესახებ. მაგრამ ამ ცნობას კომენტარიებს უკეთებს მხოლოდ „სიმბუნ რენგოს“ საგანგებო და „ჯი-ჯი“. იმეორებს რა 19 აგვისტოს ინფორმაციას „საბჭოთა მხარის არაგულწრფელობის შესახებ, რომელმაც კვლავ მიიყვანა კონფერენცია ჩიხზე“, „სიმბუნ რენგოს“ საგანგებო აცხადებს, რომ შარიშნიკოვის დანიშვნა იმის საბუთს წარმოადგენს, რომ „საბჭოთა დელეგაციას სურს გაჭიანუროს კონფერენცია, რათა განხეთქილება შეიტანოს იმ ჯგუფში, რომელსაც გადამჭრელი პოზიცია უჭირავს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საკითხში (ადს).

—:—

**„პრავდა“, უკეთებს რა კომენტარიებს ამ დეპეშას, სწერს:**

**„საბჭოთა მხარემ არა ერთხელ დაამტკიცა თავისი მისწრაფება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ საკითხის განხილვისადმი. ტოკიოში ამხ. შარიშნიკოვის გამგზავრება ფინანსიურ ექსპერტად წარმოადგენს საბჭოთა მხარის მისწრაფების ხელიშეუხებელ დამატებითი დადასტურებას მიაღწიოს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას, ამ გამგზავრების ქეშშარიტი მიზნების ყოველგვარი ფალსიფიკაცია და მისი დახატვა ისე, როგორც კონფერენციის გახანგრძლივების სურვილი, შესაძლებელია გამომდინარეობდეს მხოლოდ იმ წრეებიდან, რომლებიც ნამდვილად ცდილობენ მოლაპარაკების ჩაშლას და აფერხებენ საბჭოთა მხარის ყოველგვარი საქმიანი წინადადების განხილვას. ეს გარემოება დასტურდება „სიმბუნ რენგოს“ საგანგებოს და „ძი-ძის“ მიერ იმ ჯგუფზე მითითებებით, „რომელსაც გადამჭრელი პოზიცია უჭირავს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის საკითხში“, ე. ი. იმ ჯგუფზე მითითებთ, რომელიც მიხეწრაფის მოლაპარაკების ჩაშლისაკენ (ადს).

## ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲐᲨᲘ

**ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲘ ᲩᲐᲠᲓᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲠᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡ**

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ,** 25 აგვისტო. „დეილი ექსპრესის“ სიტყვით, იაპონიამ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიმართა „ფაქტიური ულტიმატუმით“, რომელშიც მოეთხოვა, რომ თუ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები ძალაში დასტოვებს თავისი ფლოტის გადიდების პროგრამას, იაპონიამ, შესაძლებელია, დაიწყოს ოფენსიული ტარიფები ამერიკულ საქონელზე და შეიღუდოს დამატებითი სამხედრო-საზღვაო მშენებლობას. „იაპონია, — სწერს გაზეთი, — ეს შენერდება ამის წინაშეც კი, რომ წინადადება მისცეს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებს, შემცირებულიყო ამერიკის ოფენსიული შეიარაღება“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ იაპონია ჯერ კიდევ აქამდე აცხადებდა პროტესტს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო გეგმების, წინააღმდეგ, მაგრამ ღებულობდა მხოლოდ თავგზიან პასუხს, რომელიც მას არ აკმაყოფილებდა“.

**ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲐ**

**ტოკიო,** 25 აგვისტო. ოიოგამაში შესდგა საზღვაო ძალების დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობას იღებდა 107 სამხედრო გემი და საზღვაო უწყების, ეთითმფრინავი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დათვალიერების მოწყობა „საოცარით შეეფერება იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელსაც იაპონია განიცდის“. პოლიტიკურ წრეებში ხაზს უსვამენ, რომ დათვალიერება იყო დემონსტრაცია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების, მიერ მიღებული სამხედრო-საზღვაო მშენებლობის ახალი პროგრამის საპასუხოდ (ადს).

## ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲠᲔᲘᲡᲡᲢᲐᲒᲘᲡ ᲓᲐᲬᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** 25 აგვისტო. იმის გამო, რომ 21 სექტემბრისათვის დანიშნულია რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმის განხილვა, პრესა აქცევენს ოფიციალურ ცნობას, რომელშიც მოყვანილია პროცესისაწყის მზადებასთან დაკავშირებული დაწვრილებითი ამბები. ცნობაში აღნიშნულია, რომ პროცესი მიზნად ისახავს „სამგავერო მოუზღის დამნაშავეთ გერმანიის რეიხსტაგის შენობის დაწვის დანაშაულებრივი ცდისათვის“.

„5 ბრალდებული,—ნათქვამია

# 1933 წ. ხე-ტყის ექსპორტის გეგმის შესრულების მიმდინარეობის და ა-კ. სატყეო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ

## ა-კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტისდადგენილება

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სატყეო მრეწველობის შესახებ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისრთა საბჭოსთან არსებულ შესრულების კომისიის მიერ 1933 წ. 3 აგვისტოს მიღებული დადგენილების განსახორციელებლად,—ა.-კ. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი, საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარ ამხ. **ლობოვთან** ერთად, ადგენენ:

1. აღნიშნონ, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიის სატყეო მრეწველობას არ ეძლეოდა ყურადღება სატყეო მეურნეობის როგორც რესპუბლიკანური (საქართველო, აზერბეიჯანი, სომხეთი) და ამიერ-კავკასიის, ისე საკავშირო ორგანიზაციების მხრივ, და რომ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მიერ უკანასკნელ წელიწადში მიღებული ზომები სატყეო მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად (რაც გამოიხატა უმთავრესად სატყეო მრეწველობის კადრების გადასინჯვასა და განმტკიცებაში ამ პირთა პასუხისგებაში მიცემით, რომლებმაც ჩაშალეს საწარმოო ვალდებულებათა შესრულება, და აგრეთვე მთელ რიგ სხვა ზომებში) სრულებით არასაკმარისი აღმოჩნდენ და მათ ვერ შექმნეს გარდატეხა იმის გამო, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და სატყეო ტრესტების მთელი სისტემა და რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საკმარისად არ გაშალეს მტკიცე ბრძოლა სატყეო გეგმების შესასრულებლად, რის შედეგადაც ადგილი აქვს საწარმოო გეგმის შეუსრულებლობას და ექსპორტის გეგმის შესრულების ჩაშლას.

2. მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში ამ.-კავკასიაში ტყის ექსპორტის გეგმა შესრულებულია კალენდარული გეგმის 50,6 პროცენტით (საქართველოს სატყეო ტრესტის ხაზით—54,6 პროც., აფხაზეთის—28,2 პროც., სომხეთის—89,4 პროც. და აზერბეიჯანის—55,2 პროც.) და ამავე დროს სრულიად არადამაკმაყოფილებელია ხარისხობრივი მაჩვენებლები როგორც ხე-ტყის დამზადებისა და გაზიდვის, ისე ტივების გატანისა და ხე-ტყის დამუშავების მხრივ. მაგალითად, საქართველოს სატყეო ტრესტის მიერ, რომელიც ამიერ-კავკასიაში ძირითად ტრესტს წარმოადგენს: ხე-ტყის დამზადების გეგმა შესრულებულია 65 პროცენტით, ხოლო გამოზიდვის გეგმა 54 პროც., შეშის დამზადების ფაქტიური თვითღირებულება უდრის გეგმის 150 პროცენტს, წიფლის 112 პროცენტს, წიფლის დამუშავების 103 პროცენტს და მაგარი ჯიშების 132 პროცენტს.

3. ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტს აუცილებლად მიაჩნიათ სატყეო მრეწველობის წლიური გეგმის ყოველ მიზეზს გარეშე შესრულება, განსაკუთრებით ექსპორტის დარგში, და მოითხოვენ ყველა საბჭოთა და პროფესიულ ორგანიზაციისაგან, პირველ რიგში კი სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის ორგანიზაციებისაგან ყველა ძალისა და საშუალების მობილიზაციას ამ უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო ამოცანის გადასაჭრელად.

4. ა.-კავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

### საქ. სატყეო ტრესტის ხაზით

1. საქართველოს სატყეო ტრესტის ფინანსიური მეურნეობის მოშლის, თვითმართველობისა და სახერხ მასალების განაივებისათვის პასუხისგებაში იქნენ მიცემული საფინანსო სექტორის **ყოფილი** გამგე **ამაშუკელი** და საფინანსო სექტორის მუშაკები—**სულხანა** და **ჭუმბურიძე.**

3. მოიხსნას სამუშაოდან და და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ამხ. **მარკმანს,** რომელმაც ხელი შეუწყო კარაშალვარის გზით აშკარად ბრამიზანშეწონილი მშენებლობის წამოწყებას და განხორციელებას.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ პასუხისგებაში არიან მიცემული: მექანიზებული გზების საწარმოთა უგეგმო მშენებლობისათვის—**კაპიტალური** მშენებლობის სექტორის ყოფილი ინჟენერი **გურამოვი** და საწარმოო სექტორის უფროსი ინჟენერი **ბეთანოვი, ყილინი** (საწ. სექტორის ინჟენერი), **ცაკაბაძე** (ინჟენერი, ზუგდიდის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მშენებლობის ყოფილი ტექნიკური ხელმძღვანელი); ნედლეული ბაზის შესახებ არასწორი ცნობის მიცემისათვის სატყეო ტრესტის უფროსი **მიტყევე ბაქრაძე.**

5. თავის ვალდებულებებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულებისათვის მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში **ბორკონი**—სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მგეგმავი, **სულხანოვი**—„ზზიმშენის“ მთავარი ინჟენერი, **სტუპინი**—კარაშალვარის გზის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი, **რუმიანცევი**—აფხაზეთის სატყეო ტრესტის მეტყევე და **კალაშნიკოვი**—ინჟენერი მშენებლობის დარგში აფხაზეთში.

6. დამზადებათა, და განსაკუთრებით საექსპორტო თხმელის გაზიდვის, გეგმის ჩაშლისათვის მიეთითოს ხობის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **აბრამიას** და ხობის რაიკომის მდივანს ამხ. **ფირცხალავას.**

7. ზუგდიდის ხე-ტყის ქარხნისათვის მუშა-ხელის შეძენის საქმეში სრულიად არადამაკმაყოფილებელი დახმარების გაწევისათვის მიეთითოს ზუგდიდის რაიკომის მდივანს ამხ. **გვასალიას.**

8. ოზურგეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის დამზადებული ნედლეულის გამოზიდვაში არასაკმაო დახმარების გაწევისათვის მიეთითოს რაიაღმა სკომის თავმჯდომარეს ამხ. **ნიკოლაიშვილს** და რაიკომის მდივანს ამხ. **კილაძეს.**

9. გამოეცხადოს საყვედური წალენჯიხის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **ბახილაიას** და რაიკომის მდივანს ამხ. **ქუციას** ენგურის დაცურების სამუშაოთა კანტორისათვის დამცურებელთა მობილიზაციის ჩაშლისათვის.

10. ჩურისხევის სატყეო კომბინატის დირექტორი ამხ. **ქობულოვი,** რომელიც ვერ გაუძღვა თავის სამუშაოს, მოიხსნას თანამდებობიდან და გაიგზავნოს ძირეულ სამუშაოზე.

11. საექსპორტო გეგმის შესასრულებელი მუშაობის ჩაშლისა და დანაშაულებრივი უყაირათობისათვის, რაც გამოიხატა სამრეწველო, სასურსათო საქონლის, ფურაჟისა და ფულადი სახსრების განაივებაში. მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში შემდეგი პირები, რომლებიც მოხსნილი არიან სამუშაოდან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის გადაწყვეტილებით: ზუგდიდის სატყეო ქარხნის ყოფილი დირექტორი **ჯალადანია** და მისი თანაშემწე მომარაგების ხაზით **ჭკოდუა,** თელავისა და ხარაგოულის სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა ყოფილი დირექტორები —**კაპანაძე** და **თხელიძე.**

12. უმოქმედობისა და გულგრილობისათვის მიეცეს ეკონომიური პასუხისგებაში:

ა) ჩურისხევის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორი—**ბოგორელოვი;**

ბ) ხობის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის **დირექტორი—მირცხულava;**

გ) ბურჯაანის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის **დირექტორი—ბუთხუზი;**

დ) ოზურგეთის სატყეო-სამრეწველო მეურნ. ყოფ. **დირექტორი—მყავანაძე.**

### აფხაზეთის სატყეო ტრესტის ხაზით

ა) საექსპორტო გეგმის ჩაშლისა და არასწორი ცნობების მიცემისათვის აფხაზეთის სატყეო ტრესტის მმართველს ამხ. **ინალიპას** გამოეცხადოს სასტიკი **საყვედური.**

ბ) საექსპორტო გეგმის შეუსრულებლობისათვის **მოიხსნას** სამუშაოდან აფხაზეთის სატყეო ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. **კეცბა,** გამოეცხადოს **საყვედური** დაკცურების უფროსს ამხ. **კაკუბერიას,** მიეთითოთ სოხუმის რაიკომის მდივანს **სემერჯიევს** და სოხუმის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **გაბუნიას.**

### აზერბეიჯანის სატყეო ტრესტის ხაზით

ა) საექსპორტო გეგმის შეუსრულებლობისათვის **მიეთითოს** ტრესტის მმართველს ამხ. **პოჩტარიოვს.**

ბ) **დამზადებისა** და გამოზიდვის გეგმის ჩაშლისათვის **მოიხსნან** თანამდებობიდან განჯის სატყეო სამრეწველო მეურნეობის დირექტორი ამხ. **ვართანოვი** და ლენქორანის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორი ამხ. **მამედოვი.**

გ) იმ ზომების მიუღებლობისათვის, რომელნიც უზრუნველყოფდენ ხე-ტყის დამზადების გეგმის **შესრულებას,** გამოეცხადოს საყვედური ბელოკანის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორს ამხ. **ალექპეროვს,** მაზიმჩაის ქარხნის დირექტორს ამხ. **სტეპანიანს** და კახის ქარხნის დირექტორს ამხ. **ალიევს.**

13. საქართველოს სატყეო მრეწველობის მუშათა სრულიად არადამაკმაყოფილებელი მომარაგებისათვის ცენტრალიზებული ფონდის მიხედვით, **მიეთითოს** ამხ. **ჭუჩულორიას** (საქ. მომარაგების სახალხო კომისარს). დაევალოს მას შემდეგში დაწესოს პირადი მეთვალყურეობა არა მარტო ჩასაშვებ ფონდებზე, არამედ მათ უშუალო დაყენებაზეც საწარმოებამდე.

14. მიმაგრებულ იქნან სატყეო-სამრეწველო მეურნეობებზე და საწარმოებზე ერთი თვით შემდეგი ამხანაგები:

1. **ზუგდიდში—ყურულაშვილი** (საქ. ცენტრ. კომიტეტის მდივანი) 1-ლი სექტემბრიდან, ტყიბულიდან დაბრუნების შემდეგ,

**6. კიკნაძე** (საქ. სატყეო ტრესტის სამმართველო).

2. **კოდორში—ა. სივოლაპი** (საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული).

3. **ბორჯომში—გობეჯიშვილი** (საქ. მუშგლეხინის სახ. კომისრის მოადგილე),

4. **ხონში—ლიბერი** (ა.-კავკასიის რკინის გზების სატყეო განყ. უფროსი).

5. **საჩილაოში—ლ. მორჩილაძე** (საქ. შრომის სახალხო კომისარი),

6. **თელავში** (კახეთი)—**ერისთავი** („ზაკსოიუზი“),

7. **ფოთში—ხიხაძე** (საქ. პროკურორის მოადგილე).

**შავერდოვი** (ა-კავკასიის სახ. საგეგმო კომისიის თავმჯდომ. მოადგილე).

8. **მცხეთაში—ყოფიკაშვილი** (საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე).

**მდივანი** (ტფილისის კომიტეტის ბიუროს წევრი).

9. **მარელისში—ვაშაკიძე** (საქ. სოციუზრუნველყოფის სახ. კომისარი).

10. **ამბროლაურში—თაქთაქიშვილი** (საქ. კომუნალურ მეურნეობის სახ. კომისრის მოადგილე.

11. **აჭარისტანში—გიკი** (ა-კავკ. მუშგლეხინის კოლეგიის წევრი).

12. **ახალციხეში—მაისურაძე** (საქ. საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილე).

15. დაევალოს სომხეთის და აზერბეჯანის კომპარტიების (ბ) ცენტრ. კომიტეტებს გამოჰყონ მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები ქარხნებზე მისამაგრებლად თავიანთ რესპუბლიკებში და მათი პერსონალური სია წარმოადგინონ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტში.

16. დამტკიცდეს ხე-ტყის დამზადებისა და ხის დამუშავების საწარმოო პროგრამა 1-ლ აგვისტოდან 1934 წლ. 1-ლ იანვრამდე.

ამ პროგრამის სავსებით და გადაუხრელად განხორციელების მიზნით გატარებული იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

### I. ფინანსების ხაზით

1) ვიდრე საქ. სატყეო ტრესტი წარმოადგენდეს ნახევარი წლის ბალანსს, მისი საბრუნავი საშუალებების განსაზღვრის დროს სახელმძღვანელოდ იქნეს მიღებული ის თანხა, რომელიც დაწესებულია საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის **სადირექტივო** ბალანსით 9.854.000 მანეთის რაოდენობით.

დაევალოს საქ. სატყეო ტრესტის მმართველს მოადგილეს ფინანსიურ ნაწილში ამხ. **პაპავას** წარმოადგინოს ა-წლის 7 სექტემბრისათვის საქ. სახკომსაბჭოში ნახევარი წლის ბალანსი.

დაევალოს საქ. სატყეო ტრესტს მიმდინარე წლის 12 სექტემბრისათვის წარუდგინოს საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს **ნახევარი** წლის ბალანსი.

2) წინადადება მიეცეს საქართველოს სატყეო ტრესტს მტკიცედ **იხელმძღვანელოს** იმ კალკულაციით, რომელიც დაწესებულია საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის **სახალხო** კომისარიატის მიერ.

**ამავე** დროს ეთხოვოს ამხ. **ლობოვს** სატყეო ტრესტის მიერ ნახევარი წლის ბალანსის წარდგენის შემდეგ განიხილოს ნედლეულის თვითღირებულების კალკულიაციის ცალკე ნაწილები.

3) მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. **ლობოვის** განცხადება:

ა) რომ მან დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარს ამხ. **გრინკოს** გაღმოგზავნოს მესამე კვარტალში მიღებული **საბიუჯეტო** ასიგნობები საქ. სატყეო ტრესტის საბრუნავ საშუალებებში 2.450.000 მანეთის რაოდენობით ხელფასის დავალიანების დასაფარავად და ბრუნვაზე დაწესებულ გადასახადის დავალიანების გასასტუმრებლად. ამასთან დაკავშირებით, წინადადება მიეცეს საქართველოს ფინანსთა კომისარიატს **მოხსნას** ყადაღა საქ. სატყეო ტრესტის ანგარიშზე **სახელმწიფო ბანკში,** ხოლო სახელმწიფო ბანკის ა-კავკასიის კანტორამ ზემოთდასახელებულ 2.450.000 მანეთის გადმოგზავნამდე მისცეს სატყეო ტრესტს ერთი მილიონი მანეთი ხელფასის დავალიანების დასაფარავად.

ბ) რომ სახელმწიფო ბანკის მმართველობას ეთხოვა კრედიტი 1.900.000 მანეთის რაოდენობით (სატყეო სახ. კომისარიატის რეზერვიდან) და დამატებით 1.600.000 მანეთი მორების დაცურების და მათი ქარხნებში დაგროვების საქმის უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით დაევალოს სახ. ბანკის ა.-კავკასიის კანტორას არ შეაჩეროს მერქანის დაგროვების და დაცურების საქმის დაკრედიტება,

4) მე-4 კვარტალისათვის კრედიტების თავის დროზე მიღების უზრუნველსაყოფად დაევალოს საქ. სატყეო ტრესტს არა უგვიანეს 5 სექტემბრისა მისცეს სახელმწიფო ბანკის ა.-კავკასიის კანტორას საკრედიტო დაკვეთა მე-4 კვარტალისათვის.

5) რადგან ადგილი აქვს საგრძნობ სადებიტორო დავალიანებას საქართველოს სატყეო ტრესტში (2.200.000 მან. 1933 წ. 1-ლ აგვისტოსათვის) წინადადება მიეცეს საქ. სატყეო ტრესტს ამხ. **პაპავას** ხელმძღვანელობით ერთი თვის განმავლობაში ამ დადგენილების გამოტანის დღიდან გაანაღდოს ეს თანხა, ხოლო სახელმწიფო ბანკის ა.-კავკასიის კანტორამ და ა.-კავკასიის ფინსახკომმა დახმარება გაუწიოს სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაციაში.

6) მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. **ლობოვის** განცხადება იმის შესახებ, რომ მან გასცა განკარგულება აზერბეიჯანის სატყეო ტრესტისათვის 150.000 მანეთის მიცემის შესახებ ფინანსების განსამტკიცებლად ხელფასის დავალიანების დასაფარავად.

### II. ტრანსპორტის ხაზით

ა) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსს ამხ. **როზენცვეიგს** უზრუნველყოს ცარიელი ვაგონებით ნედლეულის და მზა პროდუქციის გადაზიდვის საქმე დაწესებულ გეგმებთან შეფარდებით, რისთვისაც შეიმუშაოს ცარიელი ვაგონების მიწოდების გრაფიკი და მოაწყოს სამარშრუტი გადაზიდვა.

ამხ. **მუსაბეკოვმა** თვალყური ადევნოს ამ მუხლის შესრულებას.

ბ) მიღებულ იქნას ცნობად ამხ. **ლობოვის** განცხადება, რომ საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი თავის ფონდებიდან გამოყოფს მეოთხე კვარტალში 10 მანქანას მაინც.

გ) იმ მიზნით, რომ 1934 წელს საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტმა საკუთარი ტრანსპორტით გამოზიდოს ხე-ტყის 25—30 პროცენტამდე, საჭიროდ იქნას ცნობილი უკვე 1933 წელს 100 წყვილი კამეჩის შეძენა ინვენტარით, რისთვისაც ეთხოვოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაიღოს 650.000 მანეთი.

დ) აღინიშნოს, რომ ვალდებულება, რომელიც იკისრა „ექსპორტლესმა“ (1933 წლის 17 თებერვლიდან) ამიერ-კავკასიის სატყეო მრეწველობისათვის 15 გამწევი მანქანის და 30 მისაბმელის მიწოდების შესახებ, დღემდეც არ არის შესრულებული.

### III. ტექნიკური მომარაგების ხაზით

ეთხოვოს საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. **ლობოვს** დაამყაროს ამიერ-კავკასიის სატყეო სამრეწველო საწარმოთა საჭიროებანი ტექნიკური მომარაგების მხრივ; ამ მიზნით საქართველოს სატყეო ტრესტმა გაგზავნოს მოსკოვში სპეციალური მუშაკი სათანადო განაცხადით.

### IV. მრეწველობის ხაზით

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკათა ტრესტების მმართველებს ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ ისეთ ღონისძიებათა პროექტი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყეში არსებულ მერქანის გარდამავალი ნაშთების ლიკვიდაციას მათი გამოზიდვის კალენდარული ვადების აღნიშვნით.

2. ტრესტების მმართველებმა და „სოიუზლესი სხიტის“ ა.-კ. განყოფილებამ ამხ. **თარგამაძემ** ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ კონკრეტულ ღონისძიებათა პროექტი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოებში მზა პროდუქციის დაგროვების ლიკვიდაციას.

პასუხისმგებლობა აღნიშნული პუნქტების შესრულებისათვის **დაეკისროთ** ამხ. **წულუკიძეს** და **თარგამაძეს.** ლიკვიდაციის გეგმების განხილვა და დამტკიცება **დაეკისროს** ამხ. **მგალობლიშვილს.**

3. ნება დაერთოს საწარმოთა დირექტორებს გაასაღონ ადგილზე პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც არ იქნება მიღებული დაწესებულ ვადებში „სოიუზლესბიტის“ მიერ.

4. საწარმოთა დირექტორებმა მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე დაამუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარჩენების გამოყენებას ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად.

5. წინადადება მიეცეს ტრესტების მმართველებს **აოკრძალონ** საწარმოთა დირექტორებს ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა, კერძოდ, ყოველგვარი ხარჯების გაწევა რაიონული და რესპუბლიკანური ორგანიზაციების ვოთხოვნით.

დადგენილების ამ მუხლის დარღვევის ყველა შემთხვევაში მისცენ დამნაშავე პირნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

6. დაევალოს ტრესტების მმართველებს პირველ სექტემბრამდე სავსებით აღმოფხვრან ხელფასის დავალიანება, ამასთან არ დაუშვან შემდეგში დავალიანების დაგროვება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც დამნაშავე იქნებიან როგორც ხელფასის მიუცემლობაში, ისე ხელფასის ფონდების გადახარჯვაში გასული პერიოდის მანძილზე.

7. წინადადება მიეცეს ტრესტებს მთავარი ბუხჰალტერების, ხოლო პერიფერიებში—სატყეო სამრეწველო მეურნეობათა და საწარმოთა ბუხჰალტერების პერსონალური პასუხისმგებლობით არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა აღძრან საუწყებო და სახელმწიფო არბიტრაჟების მეშვეობით სარჩელი სადებიტორო დავალიანების მთელ ნაშთზე და მიაღწიონ გადახდევინების შესახებ აღმასრულებელი ფურცლების მიღებას იმავე ვადისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სახკომსაბჭოს—ამხ. **მგალობლიშვილს,** იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან საცხოვრებელი ფართობით მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები, გადასცეს ამ ქარხანას მთელი საბინაო ფართობი, რომელიც განთავისუფლდა მცხეთის რაიონული ორგანიზაციების ლიკვიდაციასთან **დაკავშირებით.**

### V. მუშათა მომარაგების ხაზით

1. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშგლეხინებს—ერთი დეკადის ვადაში გამოიძიონ მიზეზები, რომლებიც აფერხებენ მუშათა მომარაგების ფონდების დაყენას საწარმოებამდე, გამოავლინონ კონკრეტული დამნაშავენი და დაადონ მათ მკაცრი სასჯელი.

2. აძლევენ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სატყეო სამრეწველო მეურნეობების, აგრეთვე ხე-ტყის ქარხნების და იმ ფაბრიკების საკუთარი სასურსათო ბაზის შემდგომი გაშლის საქმეს, რომლებსაც დღემდის არ აქვთ თითქმის არავითარი სასურსათო ბაზა, და აღნიშნავენ რა, რომ ადგილი აქვს შეუთანხმებლობას საქართველოს სატყეო ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების საბრუნავ თანხებში, რომლებიც გათვალისწინებულია 1933 წლის გეგმით 561.000 მანეთის რაოდენობით, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი და ა.-კ. სახკომსაბჭო ავალებენ:

ა) საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს—გადასინჯოს სასურსათო ბაზის გაფართოების გეგმა იმ მიზნით, რომ შედგენილ იქნას დასაბუთებული მასალა სატყეო სამრეწველო მეურნეობათა სასურსათო ბაზის შემდგომი გაჯანსაღების და გაფართოების შესახებ 1934 წლის საკონტროლო ციფრებში შესატანად, ამასთან ორი დეკადის ვადაში წარუდგინოს აღნიშნული მასალა საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს მუშათა მომარაგების განყოფილების მთავარ სამმართველოს საჭირო თანხების გათვალისწინებით.

ბ) ამხ. **წულუკიძემ** და **ძაგანიამ** ორი დეკადის ვადაში წარუდგინონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს განსახილველად ხე-ტყის ქარხნების და ფაბრიკების საკუთარი სასურსათო ბაზის გაფართოების გეგმა.

3. მიღებულ იქნას ცნობად ამხ. **ლობოვის** განცხადება, რომ მესამე კვარტალში იგი გამოყოფს 300.000 მანეთს საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას საბრუნავი სახსრების განსხვავების დასაფარავად.

4. ეთხოვოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. **ლობოვს:**

ა) გამოყოს საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებისათვის სათანადო სახსრები (კაპიტალური დაბანდება), რათა უზრუნველყოფილ იქნას საკუთარი სასურსათო ბაზის გეგმის შესრულება.

ბ) უზრუნველყოს განრიგით 4.000 ტონა თივის გაცემა იმ ფურაჟიდან, რომელიც მზადდება ადგილზე.

გ) მისცეს საქართველოს სატყეო ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას „ინტერნის“ მარკის რვა ტრაქტორი და სამი ნახევრად-სატვირთო მანქანა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების და საქონლის გადაზიდვის უზრუნველყოფის მიზნით.

5. დაევალოს ამხ. **დეკანოზოვს, კორსაველს** და **ძაგანიას** გადასინჯონ მუშათა მომარაგების განყოფილებათა მუშაკების მთელი პირადი შემადგენლობა როგორც ცენტრში, ისე, ადგილებზე იმ მიზნით, რომ განმტკიცებულ იქნას იგი საჭირო კადრებით, რომლებიც შესძლებენ მუშათა მომარაგების განყოფილებათა მუშაობის უზრუნველყოფას, და მუშაობის შედეგები ერთი დეკადის ვადაში მოახსენონ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

### VI. სატყეო კულტურული ღონისძიებანი

1. ჭინაურდან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის დაცვის და ტყის კულტურის საქმეს, საჭიროდ იქნას ცნობილი სპეციალური უჯრედების შექმნა როგორც სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ რწმუნებულთა სამმართველოების შემადგენლობაში, ისე ადგილებზეც, მეთვალყურეობის და კონტროლის გასაწევად ტყის სწორად მოჭრასა და ტყის კულტურის განახლებაზე (ინსპექტურა.) ეთხოვოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს შესაფერი ასიგნობანი 1934 წლის საკონტროლო ციფრებში.

2. საჭიროდ ჩაითვალოს კომისიის შექმნა საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და საქართველოს სახკომსაბჭოს წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოკვლევა აჭარისტანსა და ფოთის რაიონში იმ მიზნით, რომ გამოიყოს მათგან სამრეწველო მასივები სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის გადასაცემად საექსპლოატაციოდ.

### VII. სატყეო-სამრეწველო მეურნეობანი

მაქსიმალურად შემოკლდეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა რიცხვი იმ ანგარიშით, რომ ხელფასის ფონდი შემცირდეს 28 პროცენტით.

### VIII. ძვირფასი ჯიშები

ეთხოვოს საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამოყოს სპეციალური კომისია რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა მონაწილეობით და დაავალოს მას საბოლოოდ გამოარკვიოს 1933 წლის განმავლობაში, ძვირფასი ჯიშების მარაგი ამიერ-კავკასიაში (კაკალი, ბზა, წაბლი და სხვ.).

### IX. ტრანსპორტი

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთიან პირობებში სანტრანსპორტო ნაგებობათა განსაკუთრებული სირთულის გამო ეთხოვოს საბჭოთა კავშირთა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1934 წლის საკონტროლო ციფრებში ასიგნობანი სატრანსპორტო ნაგებობათა და გზების სპეციალური ქსელისათვის, აგრეთვე გაგზავნოს საზღვარგარეთ სპეციალისტები იმ მიზნით, რომ შეისწავლონ სატრანსპორტო ნაგებობათა დაყენების და მთიან პირობებში მათი ექსპლოატაციის საქმე.

### X. ბზიბმშენი

საჭიროდ ჩაითვალოს ბზიბის კომბინატის მშენებლობის გაგრძელება, მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ 1933 წლისათვის დასახული ღონისძიებანი და ეთხოვოს საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამოყოს სპეციალური ბრიგადა კომბინატის მშენებლობის პროექტის საბოლოოდ დასამტკიცებლად, საამქროების და ყველა სატრანსპორტო ნაგებობათა ამუშავების რიგის აღნიშვნით.

### XI. ენგურჰაღალდმშენი

1. სამუშაოების ცუდი მდგომარეობისა და ენგურჰაღალდმშენის მუშათა განსაკუთრებით ცუდი **საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის გამოეცხადოს** სასტიკი საყვედური მშენებლობის უფროსს—ამხ. **ლომაიას.**

2. ეთხოვოს ამხ. **ლობოვს** შეავსოს ენგურჰაღალდმშენი საინჟენერო-ტექნიკური მუშაკებით.

3. საჭიროდ იქნას ცნობილი ფართოლიანდაგიანი შტოს გაყვანა ზუგდიდსა და ჯვარს შორის იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან ნედლეულით ენგურის ჰაღალდის კომბინატი და ზუგდიდის ხე-ტყის ქარხანა.

ეთხოვოს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დაავალოს გზათა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1934 წლის საკონტროლო ციფრებში საჭირო სახსრები და ფონდები იმ ანგარიშით, რომ აღნიშნული გზის მშენებლობის დამთავრება შეუფარდდეს ენგურის ქაღალდის კომბინატის დამთავრების ვადას.

დაევალოს საქართველოს სახკომსაბჭოს **ერთი** დეკადის ვადაში შეადგინოს აღნიშნული გზის მშენებლობის მოხსენებითი ბარათი, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოში შესატანად.

4. ეთხოვოს საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. **ლობოვს** წინადადება მისცეს „სოიუზსტროიოლესსოპლავს“ უმოკლეს ვადაში დაამთავროს პროექტი **და** შეუდგეს კაშხალის და ტივმჭერის მშენებლობას სოფელ ჯვართან.

### XII. კარაშალვარის საბაგირო გზა

წინადადება მიეცეს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. **მაცელევსკი,** რომელიც დანიშნულია ამხ. **ლობოვის** მიერ, საქართველოს სახკომსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. **გიკი** და აჭარისტანის **ცაკის** წარმომადგენელი ამხ. **რამიშვილი**—ერთი თვის ვადაში შეისწავლოს ადგილზე ნედლეულის რესურსების და პირველადი სატრანსპორტო გზების საკითხი და წარუდგინოს საქართველოს სახკომსაბჭოს და საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს სპეციალური მოხსენება კარაშალვარის გზის შემდგომი მშენებლობის შესახებ.

### XIII. ბორჯომის ქარხანა

ა) ბორჯომის ტკეჩის ქარხნის ნედლეულის გამოსარკვევად მივლინებულ იქნან საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. **პიკინი** და ამხ. **გობეჯიშვილი** (საქართველოს სახკომსაბჭოდან).

ბ) აღნიშნული კომისიის მუშაობის შედეგების მიღების შემდეგ საკავშირო სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე დაისვას საკითხი ბორჯომის მასივის შემდგომი ექსპლოატაციის წესის შესახებ.

გ) მიღებულ იქნას ცნობად ამხ. **ლობოვის** განცხადება, რომ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ერთი თვის ვადაში ჩაატარებს საქართველოს ცდებს ჭრელი წიფელის გამოხარშვის მხრივ.

### XIV. მარელისის ფაბრიკა

მიღებულ იქნას ცნობად ამხ. **წულუკიძის** განცხადება, რომ მარელისის ავეჯის ფაბრიკამდის გაყავთ გზატკეცილი და რომ კრედიტები უკვეგაღებულია და ფაბრიკა 6—7 წლით უზრუნველყოფილი იქნება ნედლეულით.

ეთხოვოს საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს ნედლეულის მიტანა ამ გზით ქარხანამდე საჭირო სატრანსპორტო საშუალებებით.

### XV. მცხეთის ქარხანა

იმის გამო, რომ მცხეთის ქარხანა არ არის უზრუნველყოფილი წიფელის ნედლეულით, დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულ

# ვიმუშაოთ ნაყოფიერად 7 საათი დღეში

## ტფილისის ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის ძველი მუშების პასუხი ლენინგრადის მუშების მოწოდებაზე

ამხ. რაფიელ ნაფეტვარიძე
სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის ძველი მუშა, ხარატი



ამხ. ივანე დგებუაძე
სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის ძველი მუშა, ზეინკალი

ამხ. ნიკოლოზ სავინცევი,
სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის ძველი მუშა, ჩამომსხმელი

ამხ. მიხეილ ბოგბოვი
სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის ძველი მუშა, ხარატი

ამხანაგებო!

ეს-ესაა გავეცანით თქვენი—ლენინგრადის ოთხი დიდი ქარხნის (სტალინის სახელობის, „ბოლშევიკი", „ელექტროსილა" და „ბალტიის ქარხანა") ძველი მუშების წერილს—სამუშაო დღის მთლიანად დატვირთვის შესახებ. მართალი უნდა ითქვას, გაოცებული დავრჩი, ასე გვეგონა, რომ ლაპარაკი სულ ჩვენი ქარხნის შესახებ მიმდინარეობდა. შეგვრცხვა, რადგან ნათლად წარმოვიდგინეთ, თუ რა დიდ ზიანს ვაყენებთ ჩვენსავე თავს, რა დანაშაულს ჩავდიოთ ჩვენი სახელმწიფოს წინაშე, როდესაც შვიდი საათის ნაცვლად დაახლოვებით ხუთ საათს ვმუშაობთ დღეში.

**რით შეიძლება ვიმართლოთ თავი?**

**არაფრით.**

სხვა იყო წინად, როდესაც ჩვენ კაპიტალისტებისათვის ვმუშაობდით. მაშინ ყოველმხრივ ვცდილობდით რაც შეიძლება ნაკლები გვემუშავა და ეს ბუნებრივიც იყო. ჩვენ რას დავეძებდით კაპიტალისტის ჯიბეს, პარაზიტთა კეთილდღეობას; ისინი ხომ ყოველ ღონეს ხმარობდენ, რათა მეტი გამოეწოვათ ჩვენგან. ჩვენ გვახსოვს, რომ სამუშაო დღეს ხანგრძლივობა მაშინ ბევრგან 12 საათს აღემატებოდა.

დიახ, მაშინ ჩვენი საქციელი სრულიად ბუნებრივი იყო.

მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ საკუთარ, სოციალისტურ საწარმოოში, საკუთარი თავისათვის ვმუშაობთ, როდესაც საბჭოთა კავშირში სამუშაო დღის ხანგრძლივობა—7 საათით განისაზღვრება,—გაუგებარია, რატომ უნდა ვიპარავდეთ წუთებს, რატომ არ უნდა ვტვირთავდეთ სამუშაო დღეს მაქსიმალურად?

როცა ჩვენ გულდასმით გადავიკითხეთ თქვენი წერილი, მოვინდომეთ გამოგვერკვია, თუ რა არის სამუშაო დროის გაფლანგვის მიზეზი ჩვენთან, მივედით შემდეგ დასკვნამდე:

ა) ჩვენს ქარხანაში კიდევ არიან მუშები, რომელნიც საწარმოო ცხოვრების ქვაბში არ გადახარშულან, მათ სოფლიდან მოიტანეს წვრილბურჟუაზიული ჩვევები, ჯერ კიდევ ვერ დასძლიეს წამგლეჯური განწყობილებანი, ისინი ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები იმუშაონ და მეტი მიიღონ. არიან აგრეთვე გაწადგურებული კლასების ნამსხვრევები. ისინი აქ შემოიპარენ წარმოების დეზორგანიზაციის მიზნით. მთავრობის დეკრეტმა არა საპატიო მიზეზით გაცდენისათვის სამუშაოდან მოხსნის შესახებ, სასაკვდილო ლახვარი ჩასცა როგორც პირველთ, ისე მეორეთ. სამუშაოს გაცდენა ახლა მიზანს ვერ აღწევს წინანდებურად, ამიტომ წარმოების დეზორგანიზატორების ტაქტიკა შეიცვალა. **წინანდელი ბოროტი გამცდენი ახლა ბოროტ სიმულიანტად იქცა.** ის დღეს არ აცდენს, სამუშაოზე ცხადდება, მაგრამ სამუშაოს უყაირათოდ ეკიდება, ყველაფერს მიედ-მოედება და პირდაპირ დავალებას კი გვერდს უვლის. დაზგას საყვირის შემდეგ 30—40 წუთით დაგვიანებით აამუშავებს. სადილობის დროს, მუშაობას 10—15 წუთით ადრე წყვეტს, ასევე დაგვიანებით უბრუნდება დაზგას სადილობის შემდეგ. ამწყობი საამქროს სასადილოსთან გამოკიდებულია შავი დაფა, რომელზედაც, სამუშაოსათვის ადრე თავის დანებების გამო, მოთავსებული არიან: **ალტუნაშვილი, მონასელიძე, ქებაძე, სტვლია, ზინაჩენკო, შალუტაშვილი და კაპერინი.** ესენი ფარული გამცდენები არიან.

ბ) მეორე რიგის მიზეზები წმინდა ორგანიზაციულ ტექნიკური ხასიათისაა. მათ შორის დავასახელებთ რამოდენიმეს.

ოსტატები დროზე არ ამუშავებენ გეგმას. ამის შედეგად მუშებს სამუშაო არ ეძლევათ მუშაობის დაწყებამდე. ვდგევართ დაზგასთან. ველით დღიურ განაკვეთს და ამასობაში გადის ძვირფასი სამუშაო წუთები. რატომ ხდება ასე? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენს ოსტატებს მტკიცედ არ ესმით სამუშაო დროის ფასი.

მოუგვარებელია ხელსაწყოების დროზე მიტანა სამუშაო ადგილამდე. არის შემთხვევები, როცა ხელსაწყოებს, მოლოდინში მთელი ორი საათი გვიხდება უსაქმოდ დგომა.

განვიცდით კვალიფიციური მუშა-ხელის სიმცირეს, ამავე დროს, ადგილი აქვს კვალიფიციური მუშების არარაციონალურად გამოყენებას. ხშირად შეხვდებით მაღალი თანრიგის მუშას, რომელსაც გამზადებული დეტალი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაატანს. ამაზე ის ხარჯავს 1—2 საათამდე დროს და ეს მაშინ, როდესაც ამ საქმეზე გამოყენებული უნდა იქნან არაკვალიფიციური, დამხმარე მუშები.

სასადილოს საკითხი ჩვენთანაც ისე სდგას, როგორც თქვენთან, ამხანაგო ლენინგრადელებო! სადილების დროს იმართება გრძელი რიგები. სადილს ის იღებს, ვინც სამუშაოს ადრე მიატოვებს. პატიოსანი დამკვრელები კი ხშირად უსადილოდ რჩებიან. ნუთუ დრო არ არის ამ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს?

მოუგვარებელია შინა-საქარხნო დაგეგმვა. მაგალითად, ამწყობი და საქვაბე საამქროები სისტემატიურად ხელს უშლიან ერთმანეთს. ამწყობი საამქროზე ვერ აბარებს დეტალებს საქვაბეს. ეს უკანასკნელი ვერ ასწრებს დაგროვილ დაკვეთების შესრულებას. ხდება პირიქითაც. საქვაბე საამქრო, ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ, ერთბაშად გადასცემს ამწყობს რამოდენიმე ქვაბს. ეს უკანასკნელი არაა მომზადებული ერთად თავმოყრილი დეტალების ასაწყობად. აქედან სისტემატიური ჩამორჩენა. ასე გრძელდება თვის ბოლომდე. მესამე დეკადაში კი სტყდება განგაში. ხდება ქარხნის მთელი ძალების მობილიზაცია. წარმოებს ბრძოლა ჩამორჩენის დასაფარავად. ყოველივე ეს ძვირად უჯდება ქარხანას. ზედმეტად იხარჯება სამუშაო დრო და სოციალისტური კაპიტალი.

არის სამუშაო დროის უნაყოფოდ ხარჯვის სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, სამჭედლო საამქროს ხშირად უშვებს ისეთ დეტალებს, რომელთა გადამუშავებაზე გეგმით გათვალისწინებულზე მეტი დრო იხარჯება. სამჭედლო საამქრო დაინტერესებულია დეტალების რაც შეიძლება მეტი წონითი რაოდენობა გამოუშვას, რადგან მას შრომას უნაზღაურებენ მხოლოდ დეტალების წონის მიხედვით. სახარატო საამქრომ კი გაცილებით მეტი დრო უნდა დახარჯოს ტლანქად გამოყვანილი დეტალების გადასამუშავებლად.

შრომის აღრიცხვა ცუდათაა დაყენებული. ბევრ შემთხვევაში სიმულიანტები, იმის გამო, რომ მათთვის თვალყური არავის უდევნია, დაუსჯელი რჩებიან, შრომის აღრიცხვა დავალებული აქვთ ოსტატებს და ბრიგადირებს, მაგრამ ისინი აღრიცხვას თვალდათვალ აწარმოებენ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გაძლიერდეს ოსტატების და ბრიგადირების პასუხისმგებლობა შრომის აღრიცხვისადმი. ამავე დროს, აუცილებელია ვაწარმოოთ ქრონომეტრაჟული დაკვირვება სამუშაო დროის გამოყენებაზე. ზუსტი აღრიცხვა ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრის საფუძველია.

მიმდინარე წელს, ჩვენ ორჯერ ჩავატარეთ პარტ-ტექნიკური კონფერენცია, ერთი პროდუქციის ხარისხზე, ხოლო მეორე—თვითდირებულებაზე. კონფერენციებმა (განსაკუთრებით უკანასკნელმა) დასახეს ღონისძიებანი ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხის—სამუშაო დროის მთლიანად დატვირთვისათვის. ჩვენ შემოგვაქვს წინადადება—**პირველიდან ათ სექტემბრამდე მოეწყოს ტექნიკური კონფერენციების გადაწყვეტილებათა შესრულების მასობრივი შემოწმება.** ეს შემოწმება უნდა გადაიქცეს სამუშაო დროის მთლიანად დატვირთვისათვის ლაშქრობად.

შემოგვაქვს აგრეთვე წინადადება: სამუშაო დროის მთლიანად დატვირთვის საკითხი დაყენილ იქნეს თვითეულ მუშამდე, რისთვისაც მოეწყოს ლენინგრადის ოთხი დიდი ქარხნის ძველი მუშების წერილის კოლექტიური განხილვა ბრიგადებში.

ჩვენ ვმუშაობთ საკუთარ საწარმოებში, საკუთარი პროლეტარული სახელმწიფოსათვის. განსაზღვრული სამუშაო დრო—7 საათი ყოველდღიურად—სახელმწიფოს საკუთრებაა. **სამუშაო დროს განიავება საკუთარი თავის გაქურდვაა.** ეს უნდა იცოდეს თვითეულმა პროლეტარმა.

ჩვენ, ამხ. **სტალინის** სახელობის სარემონტო ქარხნის მუშები, პირობას გაძლევთ ამხანაგო ლენინგრადელებო, რომ თქვენი მოწოდების თანახმად, გულდასმით შევამოწმებთ ჩვენი მუშაობის ყოველ კუნჭულს, მივაღწევთ სამუშაო დღის 100 პროც. დატვირთვას, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას და მივსცემთ ქვეყანას ჯანსაღ ორთქლმავლებს და ვაგონებს.

**ირემაშვილი გიორგი** (მჭედელი, საწ. სტაჟი 29 წელი), **ხელიხოვი ივანე** (მექვაბე, საწ. სტაჟი 21 წელი), **ერაძე უშანგი** (მექვაბე, საწ. სტაჟი 32 წელი), **ჯვარშეიშვილი კირილე** (მჭედელი, საწ. სტაჟი 13 წ.) **დგებუაძე ივანე** (ზეინკალი, საწ. სტაჟი 21 წ.), **ლებედევი ავაკუმ** (მჭედელი, საწ. სტაჟი 34 წ.), **სავინცევი ნიკოლოზი** (ჩამომსხმელი, საწ. სტაჟი 37 წ.), **ბაბლუმიანი არშაკ** (ხარატი. საწ. სტაჟი 33 წ.), **ნაფეტვარიძე რაფიელი** (ხარატი, საწ. სტაჟი 35 წ.), **ბობროვი მიხეილი** (ხარატი, საწ. სტაჟი 41 წ.), **პროცენკო კონდრატი** (ზეინკალი, საწ. სტაჟი 34 წ.), **ათაბეგოვი ალექსანდრე** (ზეინკალი, საწ. სტაჟი 10 წ.).

# „კოლოპერატივი დაკეტილია განუსაზღვრელი დროით".

## „საბჭოთა აჭარისტანი"—ბათომი, „მთლიანი კოლექტივიზაცია"—სენაკი, „დამკვრელი"—ხონი.

**პრესის მიმოხილვა**

აპრილის ერთ-ერთ ჩვეულებრივ დღეს, სოფელ **ურეხის** (აჭარისტანი) კოოპერატივს მიადგა კოლმეურნე ამხ. **ახმედ დევაძე.**

— ნავთი მინდა თუ გაქვთ.

— ნავთი არა გვაქვს, ალბად არც გვექნება— ცივად უპასუხეს კოოპერატივში. დევაძემ გადასწყვიტა წასულიყო ბათომში, სადაც ნავთი იწოვებოდა და საიდანაც მისი მოტანა სოფ. კოოპ. ვერ მოახერხა. იგი ასეც მოიქცა წავიდა ბათომში, ნავთის შესაძენად და ამის გამო 2 დღე გააცდინა კოლმეურნეობაში. იგივე განმეორდა მაისში და მაშინ დევაძემ 3 დღე გააცდინა.

**„ჩვენი კოოპერატივი ისე მოუქნელად მუშაობს, რომ მან ვერ შეძლო ნავთის მოტანა ბათომიდან; ასეთი კოოპერატივი ჩვენ არ გამოგვადგება".**

სამართლიანი წყრომით ამბობს კოლმეურნე დევაძე თავის წერილში, რომელიც მან გაგზავნა გაზ. „საბჭოთა აჭარისტანის" რედაქციაში.

საქმე მარტო ნავთში არ არის; სოფ. ურეხის კოოპერატივს და აჭარისტანის ბევრ სხვა სასოფლო კოოპერატივს არ გააჩნია პირველი მოთხოვნის საქონელი. მაშინ, როდესაც მათ უნდა ჰქონდეთ ყველა საქონელი. რომელთაც ჩვენი კოლმეურნე დღეს მოითხოვს. კერძოდ სოფ. ურეხის

**„კოოპერატივი სრულიად არ ზრუნავს იმაზე, რომ მიაწოდოს კოლმეურნე და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხებს მათთვის საჭირო საგნები. გამგეობა დაყრდნობილია თვითმდინარეობაზე და იშვიათ მოთმინებით ელოდება გამოგზავნის, თუ არა რამეს აჭარკოოპკავშირი; თუ ამ უკანასკნელმა მიაწოდა რაიმე ურეხის კოოპერატივს ხომ კარგი, თუ არა და გამგეობა არხეინად გამოხურავს კარებს და გააკრავს განცხადებას: „კოპერატივი და კეტილია განუსაზღვრელი დროით".**

მარტო ურეხის კოოპერატივი არ იქცევა ასე, ბევრი სასოფლო კოოპერატივი მართალია დაკეტილი არაა და ასეთ განცხადებებს არ აკრავს კარებზე, მაგრამ ცარიელია. მთელ რიგ სასოფლო კოოპერატივებს არ მოეპოვებათ საჭირო საქონელი, არ აწარმოებენ თვითშესყიდვებს, არ სწავლობენ მომხმარებლის მოთხოვნას არ იბრძვიან საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის მერჩევისათვის. სოფლის კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილი ფუ და ფეხ ვერ მისდევს კოლმეურნეთა მზარდ მოთხოვნას, ამის შესახებ სწერს „საბჭოთა აჭარისტანი"-ს ფურცლებზე კოლმ. ახმედ დევაძე, ამას აღნიშნავს სხვა წერილებიც გაზეთი.

კოლმეურნეთა მოთხოვნის სწრაფი ზრდა გამოწვეულია საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებით, კოლმეურნეთა შემოსვლის გადიდებით, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებით. ისე როგორც მთელ საქართველოში აჭარისტანშიც

**„იზრდება და ფეტკიდება საკოლმეურნე მოძრაობა, კოლმეურნენი უკვე ღებულობენ დიდ შემოსავალს, ამასთან დაკავშირებით იზრდება კოლმეურნეთა მოთხოვნა. მათი მატერიალურ-კულტურული დონე. სოფლის კოოპერაცია ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს გაზრდილი მოთხოვნა".**

ამას დღეს ვერ ახერხებს აჭარისტანის სოფლის კოოპერატივების დიდი ნაწილი. გაზეთიც სისტემატიურად ამჟღავნებს ასეთ კოოპერატივებს, უჩენენებს მათი ჩამორჩენის მიზეზებს, მიუთითებს მუშაობის გარდაქმნის გზებზე.

სოფლის კოოპერატივები ზოგჯერ ყიდიან ისეთ საქონელს, რომელიც კოლმეურნე გლეხობას არ სჭირია, რომელიც მათ არ გამოადგებათ, მაგ. **მახინჯაურის** კოოპერატივში

**„ასეთი საქონლის ღირებულება ახლა 50 ათას მანეთს აღწევს. ასევე, ახალშენის... სასოფლო კოოპერატივში ამჟამად დაგროვილია 9 ათასი მანეთის საქონელი.... და მათ არავინ არ იძენს, რადგან ფასი დიდია, ხარისხი კი ცუდი".**

ასე, ნომრიდან ნომერში გაზეთი ამჟღავნებს აჭარისტანის სოფლის კოოპერაციის სუსტ მხარეებს და მათ აღმოსაფხვრელად რაზმავს კოლმეურნე და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა მასებს. მაგრამ გაზეთი კმაყოფილდება მარტო სუსტი კოოპერატივების მუშაობის გამომჟღავნებით და **არ აშუქებს** მოწინავე სასოფლო კოოპერატივების გამოცდილებას, მათი მუშაობის მეთოდებს და არ აცნობს მათ ჩამორჩენილ კოოპერატივებს, მომავალში გაზეთმა ამ მომენტს უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება.

„საბჭოთა აჭარისტანი" სოფლის კოოპერატივების მუშაობის საკითხებს სისტემატიურად აშუქებს და კარგადაც იქცევა. მაგრამ სამწუხაროდ იგი გამონაკლისია ჩვენი საოლქო და რაიონული გაზეთებიდან.

რაიონული გაზეთების უმრავლესობა სოფლის კოოპერატივების მუშაობის საკითხის გაშუქებას უდგება კამპანიურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე. ასე იქცევა მაგალითად **სენაკის** რაიონული გაზეთი **„მთლიანი კოლექტივიზაცია"**, ამ გაზეთის უკანასკნელ ოთხ ნომერში (№ 29-32), რომელიც გამოსულია 28 ივლისიდან 18 აგვისტომდე, თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ საქმიან შენიშვნას სოფლის კოოპერატივების მუშაობის გარდაქმნის და იმ ახალი ამოცანების შესახებ, რომელიც სოფლის კოოპერაციის წინაშე დღეს დგას.

იგივე შეიძლება ითქვას **ხონის** რაიონულ გაზეთ **„დამკვრელზეც"**—5 ივლისის ნომერში, კოოპერაციის საერთაშორისო დღეს „დამკვრელმა" მიუძღვნა ერთი გვერდი ანშლაგით.

**„გაუმარჯოს კოოპერაციის საერთაშორისო დღეს".**

**„გარდავქმნათ კოოპერაციის მუშაობა ბელადის მითითებათა საფუძველზე".**

ამ მშვენიერი სურვილის გარდა, გვერდში თქვენ ვერაფერ კონკრეტულს ვერ იპოვით ხონის რაიონის სოფ. კოოპ.-ბის მუშაობის შესახებ. სამაგიეროდ გვერდში საჭიროზე მეტადაა ლაპარაკი საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის (ალიანსის) მუშაობასა და კოოპერატორ შარლ ჟიდის შესახებ.

5 ივლისის შემდეგ „დამკვრელმა" სოფლის კოპერაცია სრულიად დაივიწყა. 11 აგვისტომდე გამოსულ ნომრებში **არაა არც ერთი სტრიქონი** სოფლის კოოპერაციის მუშაობის შესახებ. ამ უდიდესი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხის ასე დავიწყება არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება არც „დამკვრელს" და არც სხვა რაიონულ გაზეთებს.

კოოპერატივი სოფლად დიდი საზოგადოებრივი ძალაა, იგია სოფლის მშრომელთა მომარაგების, სოფლად საბჭოთა კულტურული ეაპრობის ორგანიზატორი. მისი მუშაობის ყველა საკითხს, მისდამი დახმარებას, კოლმეურნეთა გაზრდილ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის ბრძოლას ყველა რაიონულმა გაზეთმა უნდა მიაქციოს სისტემატიური ყურადღება. მათ უნდა მოაწყონ თავიანთ ფურცლებზე მოწინავე კოოპერატივების გამოცდილების ჩვენება და აქტიურად იბრძოლონ სოფლის კოოპერაციის გარდაქმნის შესახებ პარტიის და ხელისუფლების დირექტივების განხორციელებისათვის.

# ვინ მფარველობს აფერისტს და გაიფლანგველ ვასილ სიხარულიძეს?

ვასილ სიხარულიძის წარსული შავი ლაქებით არის სავსე.

ჯერ კიდევ 1922 წელს იგი იჯდა საპატიმროში ყალბი საბუთების გაკეთებისათვის, მაგრამ ზოგიერთთა დახმარებით მალე განთავისუფლდა იქედან და 1927 წელს მოეწყო სამუშაოდ რკინის გზის დამზღვევ სალაროში. სიხარულიძემ აქაც ჩაიდინა მთელი რიგი ბოროტმოქმედება (ცყვალბა და სხვ.), რის შემდეგ მიიმალა. სიხარულიძის თანამონაწილეები დაჭერილ იქნენ და მათ მიიღეს სათანადო სასჯელი, სიხარულიძის კი დაეძებდენ, მაგრამ ამაოდ.

გავიდა დრო და ის აღმოაჩინეს უზბეკისტანში, მაგრამ უკვე როგორც პარტიის წევრი. „პარტიულობამ" სიხარულიძე ვერ იხსნა ტიო დაპატიმრებისაგან. უზბეკისტანში დაპატიმრებულმა სიხარულიძემ აღძრა შაუმდგომლობა საქართველოს გამსახლში მისი გადაყვანის შესახებ.

საქართველოში ჩამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ სიხარულიძე უკვე თავისუფლდება და კვლავ ეწყობა სამუშაოზე საქართველოს მიწსახკომში.

1929 წელს სიხარულიძე სტოვებს მიწსახკომს, როგორც ნაკლებ „სარფიან" დაწესებულებას და აწყობს „ველური არტელს სარეწო კოოპერაციის სისტემაში". ის კავშირს იჭერს კერძო ვაჭრებთან, ურჩევს მათ შევიდეს არტელში, ჰპირდება, რომ არტელს წეერობასთან ერთად გაბდის მათ კავშირის წევრებად; ყოველივე ამას სიხარულიძე აკეთებდა, ცხადია სათანადო გასამრჯელოს გულისთვის (ალბ შეთანხმების მიხედვით.

ეს კიდევ ცოტაა. სიხარულიძე თავს ასაღებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქ. ცაკის წევრად, სარგებლობდა რა მით, რომ მართლაც იყო არჩეული ც. კ-ის და ცაკის წევრად მისი მეგობარი ვ. სიხარულიძე.

ცოტა ხნის შემდეგ იგი მისცეს სისტლის სამართლის პასუხისგებაში და დააპატიმრეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ „დამხმარე პირები" ახერხებენ მის განთავისუფლებას.

თავისუფლად ყოფნის დროს ვასილ სიხარულიძე იქცევს ყურადღებას მით, რომ ყოველდღიურად ათასმანეთობით ხარჯავს. მას ისევ აპატიმრებენ. გამოძიებამ ცხადჰყო, რომ სიხარულიძის საქმეში ურევია მთელი რიგი, როგორც უპარტიო, ისე პარტიული მუშაკები, რომელთაც ღირსეული სასჯელი მიეზღოთ.

მაგრამ სიხარულიძე აქაც მშრალად გამოვიდა. „ნთლიმამეზმა" საქმე შეატრიალეს და სასამართლოს დაუბრუნეს ხელმეორედ გასარჩევად. უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში გამოიჩინა საქმისადმი ფორმალური მიდგომა და მიუსაჯა სიხარულიძეს 5 წლიან თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლოს განაჩენის შემდეგ ვ. სიხარულიძეს, რომელსაც მიესაჯა გადასახლება 21 იელისს, მეორე დღეს უკვე თავისუფალს ვხედავთ—იგი სამუშაოზედაც ეწყობა.

ისმება კითხვა,—ვინ არის, ასე გულმოდგინეთ რომ თავს ეცლება ამ აფერისტს, რითაც აღშფოთებას იწვევს, იმათ შორის, ვინც იცნობს სიხარულიძეს და მის ბნელ საქმეებს? როგორც ირკვევა, „ნთლიმამეების" თხოვნით ზოგიერთებმა, რომელნიც წინად დროს ატარებდენ ქეიფში ვ. სიხარულიძესთან ერთად, შეცდომაში შეიყვანეს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა. ამრიგად, გადასახლება შეჩერებულ იქნა, ხოლო ვ. სიხარულიძე გაანთავისუფლეს და სამუშაოზე მოაწყვეს.

საქ. ც. საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხინი დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და გამოარკვიოს, ვინ მფარველობს აფერისტ-გაიფლანგველ ვ. სიხარულიძეს.

იმ პირებმა, რომელთაც ამ საქმეში წილი უდევთ, სასტიკი პასუხი უნდა აგონ.

ა. ტ—ძე.

# ბრიგადირმა ჯამასპაშვილმა დაალეგო 400 ფუთი პური

(ლტუდენტის წერილი)

ზემო - მაჩხაანის (სიღნაღის რაიონი) ამხ. სტალინის სახ. სას.-სამ. არტელის მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ნასყიდა ჯამასპაშვილმა 30 იელისს წვიმით. დასკულებული და გაღვივებული ძნები ბრიგადის წევრებს ზვინებად დაადგმევინა.

დასველებული ძნის ზვინებად დადგმის წინაალმდეგ არაფერი არ უთქვამს ამაგე არტელის კომკავშირის უჯრედის მდივანს გიორგი გოგილაშვილს, პირიქით, ის ძნების ზვინებად დადგმაში უშუალო მონაწილეობას იღებდა.

ალმაშფოთებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული მდგომარეობის შესახებ იცოდა კომუჯრედის მდივანმაც და არტელის დროებითმა თავმჯდომარემ ამხ. თედო ჯამასპაშვილმა, რომლებმაც, დამნაშავის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიიღეს.

13 აგვისტოს, შემოწმების დროს, დასველებული ძნები სრულიად დამპალი და გაფუჭებული აღმოჩნდა. მარცვალი გამოუსადეგარია პირუტყვის საკმელადაც კი. გაფუჭებული პურის რაოდენობა აღწევს 400 ფუთამდე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბრიგადირ ნასყიდა ჯამასპაშვილს 13 აგვისტოსათვის მოსავალი ასაღები ჰქონდა 2 ჰექტარზე, მისმა ბრიგადამ, რომელიც ბუქსირზე იყო აყვანილი, მოსავლის აღების ვადას გადააცილა 10 დღით. აღნიშნულ ბრიგადას დღემდის აღებული მოსავალი გალეწილი აქვს 10 პროცენტით.

საჭიროა ზემომაჩხაანის ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის 400 ფუთი პურის განადგურებისათვის ბრიგადირი ნასყიდა ჯამასპაშვილი პასუხისგებაში.

**მიხეილ ცაკაშვილი.**

**რედაქციისაგან**

წერილში აღნიშნული ფაქტი — 400 ფუთი პურის დალაპობის შესახებ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. „კომუნისტი" მოითხოვს საქ. კ.ა. (ბ) სიღნაღის რაიკომისა და რაიაღმასკომისაგან ამ საკითხის დეტალურად შესწავლას და პასუხს მიღებული ზომების შესახებ.

ხელსაქმის წრის მეცადინეობა ტფილისის თურქ ქალთა კლუბში

# გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს 1933 წლის 25 აგვისტოს ბრძანება № 6

## საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის 10 ივლისის და 21 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად ინიშნებიან

I

**გზების პოლიტგანყოფილებათა უფროსების მოადგილეებად:**

1. სამხრეთის რკინის გზის—ამხ. შ. ი. ჯიტლი („პულემეტის" უფროსის მოადგილე, მარქსიზმ-ლენინიზმის კურსების მსმენელი).
2. ამიერ-კავკასიის რკინის გზის—ამხ. ა. ვ. ბაკულინი (საკ. კ.ა. (ბ) ც. კ-ის განმანწ. განყოფილების გამგის თანაშემწე).
3. ომსკის რკინის გზის—შ. ს. ქრაინუშკინი (მოსკოვ-კურსკის რკინის გზის პარტორგი).
4. თურკესტან-ციმბირის რკინის გზის—ამხ. ჯ. ი. ბოლოცევი (სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის პარტორგი).
5. მურმანსკის რკინის გზის—ამხ. დ. ა. სტეპანოვი (ოდესის საოლქო კომიტეტის მდივანი).
6. დასავლეთის რკინის გზის—ამხ. ს. ბ. ლობანოვი (გზათა სახალხო კომისარიატის პარტორგის კ.-ბ. ინსტრუქტორი).
7. ეკატერინეს რკინის გზის—ამხ. ი. ა. ჭალი (სამხრეთის რკინის გზ. პარტორგი).

II.

**რკინის გზების პოლიტგანყოფილებათა უფროსების თანაშემწეებად კოლეგიურის ხაზით:**

1. მოსკოვ-კურსკის რკინის გზის—ა. ი. პოროზინი (უკრაინის ა.ლ.კ.კ-ის ც. კ-ის მდივანი).
2. ამიერ-კავკასიის რკინის გზის—ამხ. ვ. ა. ფოკინი (პროფინტერნის სექტორის გამგე).
3. მურმანსკის რკინის გზის—ამხ. ნ. პ. ნოვიკოვი (ა. ლ. კ.-ის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი)
4. მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის—ამხ. ი. ფ. ადაევი (საკ. ა.ლ.კ.კ-ის ც. კ-ის სატრანსპორტო სექტორის გამგე).
5. ეკატერინეს რკინის გზის—ამხ. ა. ვ. იარცევი (საკ. ა.ლ.კ.კ-ის ცენტრ. შავზღვიანი ოლქის საოლქო კომიტეტის მდივანი).
6. მოსკოვ-ბელორუსია—ბალტიის რკინის გზის—ამხ. ჯ. ტოპოლი (უკრაინის ა.ლ.კ.კ-ის ც. კ-ის მახობრივ-საწარმოო განყ. გამგე).
7. ჩრდილოეთის რკინის გზის—ამხ. ხ. ა. აპლოვი (ა.ლ.კ.კ.-ის მოსკოვის კომიტეტის სატრანსპორტო სექტორის გამგე).
8. რიაზან-ურალის რკინის გზის—ამხ. ვ. კ. ტოლვაჩევი (ა.ლ.კ.კ-ის ც. კ-ის წარმომადგენელი უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხინში).

III.

**რაიონების პოლიტგანყოფილებათა უფროსებად და რაიონების პოლიტგანყოფილებათა უფროსებად მოადგილეებად პოლიტმუშაობის ხაზით**

**სამხრეთის რკინის გზაზე**

1. ბელგოროდის რაიონი—ამხ. ა. ი. ვოსტრიკოვი (სამხედრო-სატრანსპორტო აკადემიის საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის კათედრის უფროსი).
2. ხარკოვის რაიონი —ამხ. ვ. ე. იარინი (ჩრდ. კავკასიის რკინის გზის პარტორგი).
3. ყირიმ-ლიმანის რაიონი—ამხ. პ. ი. ნარანი (დასავლეთის რკინის გზის პარტორგი).
4. სოხნოვკის რაიონი—ამხ. ი. დ. რიფინი (მურმანსკის რკინის გზის პარტორგი).
5. ლუგანსკის რაიონი—პ. ბ. მკრტიჩიანი (ხომბეთის კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ტრანსპორტის დარგში).

**მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე**

1. მოსკოვის რაიონი—ამხ. ვ. დ. სოლოვიოვი (ცენტრ. საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხინის ჯგუფის ხელმძღვანელი მოადგილე).
2. გორკის რაიონი—ამხ. ი. ა. ივანოვი (ბელორუსის კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ტრანსპორტის დარგში)
3. ორლოვკის რაიონი—ამხ. ვ. ბ. ჩეფაზუნინი (ეროფეთა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე).

**ჩრდილოეთის რკინის გზაზე**

1. ვოლოგოდლკის რაიონი—ამხ. ლ. ფ. ლებედევი (რაზან-ურალის რკინის გზის პარტორგი).
2. ვიატკის რაიონი—ამხ. ნ. ვ. ზაბოლოვალკო (ბაროსლავის რაიონის პარტორგი).

**თურქესტან-ციმბირის რკინის გზაზე**

1. ალმა-ატას რაიონი—ამხ. ფ. ნ. ზაუზოლკოვი (წითელი პროფესურის ინსტიტუტის მსმენელი).
2. აულიე-ატინსკის რაიონი—ამხ. ნ. დ. ლეუშინი (რუსეთის ს.ფ.ს.რ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი).
3. აიაგუზის რაიონი—ამხ. ტ. ე. ლებედევი (საბჭოთა კავშირის მხუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი).

**დასავლეთის რკინის გზაზე**

1. ბრინსკის რაიონი—ამხ. ვ. ზ. ოსიპოვიჩი (საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კადრების უფროსის მოადგილე).
2. გომელის რაიონი —ამხ. ა. ი. სოფეძე (საკ. კ. პ. (ბ) გორკის ქალაქის კომიტეტის მდივანი).
3. ულოზინსკის რაიონი—ამხ. ე. პ. ვოლკინი (საკ. კ.პ. (ბ) ამფრის საოლქო კომიტეტის ორგინსტრის გამგე).
4. კონოტოპის რაიონი—ამხ. ვ. ნ. იაროვი (კრამატორსკის პარტიული კომიტეტის მდივანი).

**მოსკოვ-უაზანის რკინის გზაზე**

1. კოზლოვის რაიონი—ამხ. ბ. ტ. პანასენკო (ეკატერინეს რკინის გზის პარტორგი და დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ტრანსპორტის ხაზით).
2. ყაზანის რაიონი—ამხ. ე. ლ. ფაინბერგი (ანგარბეიჯანის კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ტრანსპორტის ხაზით).

**

# რიონჰესი გამოცდაგე

14 ივლისიდან რიონჰესზე მიმდინარეობს ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობათა გამოცდა. სათაოს ნაგებობათა (საგუბარი, სხლეტი, სარეცხი რაბი, ტიბ საშვები და წყალმიმღები მთავარი რაბით) გამოცდა, როგორც ცნობილია, ჩატარებული იქნა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს. ამიტომ ეხლა ყველა მექანიზმების და ფარების საბოლოოდ შემოწმებას და წყლის აწევას დასჭირდა მხოლოდ ოთხი დღე. ამავე დროს განმავლობაში მოხდა საწნეო აუზის ფარების და მექანიზმების შემოწმება. მთელი ეს მოწყობილობა, რომელიც დამზადებულია „წითელი პუტილოველის“ ქარხანაში დამაკმაყოფილებლად მუშაობდა.

18 ივლისს 19 ს. 3 წუთზე წყალი პირველად გაშვებული იქნა დერივაციაში. ამ დღეს წყლით ავსებული იქნა სამი გვირაბი, რომელთა სიგრძეა 3.800 მეტრი. მეორე დღეს წყალი შეუშვეს არხში; წყალმა გაირბინა 5 კილომეტრი, საღამოს მიაღწია საწნეო აუზს და დაეშვა 60 მეტრის სიმაღლიდან საწნეო მილებით ტურბინებისაგან, იქიდან კი წყალგამშვებ არხში.

ამ დროიდან დაიწყო წყლის სიღრმის თანდათან გადიდება არხში და წყლის ხარჯვის აყვანა იმ დონემდე, რომელიც საჭიროა ტურბინების სამუშაოდ. 25 ივლისისათვის წყლის სიღრმე აყვანილ იქნა 2 მეტრამდე, ამავე დროს წარმოებდა პირველი ორი აგრეგატის მილგაყვანილობის გამოცდა სრულ დატვირთვაზე.

მილსადენის გამოცდამ (მილები დამზადებული და დამონტაჟებულია მოსკოვის ქარხანა „მოსტი-ეარტ“-ში თვითეული მილის დიამეტრი 2,6 მეტრის) გვიჩვენა მილების კონსტრუქციის და მონტაჟის სრულიად დამაკმაყოფილებელი ხარისხი. აღმოჩენილი მცირეოდენი დეფექტები სამი დღის ვადაში იქნა გამოსწორებული.

უნდა აღინიშნოს, რომ **რიონჰესის მილსადენი ერთერთი ყველაზე დიდი შედუღებული მილსადენია მთელს მსოფლიოში, საბჭოთა კავშირში კი იგი ჯერჯერობით ყველაზე დიდია.**

24 ივლისს, საღამოს 5 საათსა 17 წუთზე დაიწყო პირველი ტურბინის საცდელი ამუშავება, რომელიც გრძელდებოდა შეუწყვეტლივ 12 საათი; **არავითარი დეფექტები არ ყოფილა აღმოჩენილი. საცდელმა ამუშავებამ გამამაყოფილა ტურბინის კონსტრუქციის და მონტაჟის საუცხოო თვისებები.**

30 ივლისს მოხდა მეორე ტურბინის საცდელი ამუშავება. ცდა აქაც 12 საათი გრძელდებოდა. შედეგები იგივე. ტურბინები, თვითეული 17.500 ცხ. ძალის სიმძლავრის, დაპრეოექტებული, დამზადებული

**რიონჰესი**

**დაჯილდოვებული დამკვრელი ინე. ჩ.ბ.ბ.ვ.ძაძ: სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელი**

**რაც უკვე არხის დაბალი სიღრმეა, ხოლო წყლის ხარჯვა 7 კუბომეტრამდე წამში.**

**სამუშაოდ დამონტაჟებულია ამხ. სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხანაში, გენერატორები კი — ლენინგრადის „ელექტროსილა“-ში.**

**შემდეგი დღეების განმავლობაში წარმოებდა მილსადენის განმეორებითი გამოცდა, აგრეგატების განმეორებითი ამუშავება სალაბორატორიოდ და პირველი აგრეგატის მომზადება გენერატორის გასაშრობად.**



**რიონჰესი**

**ზევით: წყალის საღდღეამოსი რეგულირების აუზი; ქვევით: საწნეო მილგაყვანილობა**

10 აგვისტოს დაიწყო პირველი გენერატორის გაშრობა, აგრეგატი შეუფერხებლად მუშაობდა 12 დღეღამის განმავლობაში, ამასთანავე მეექვსე დღეზე ტურბინა გადაყვანილი იქნა ავტომატიურ რეგულირებაზე.

22 აგვისტს დამთავრდა პირველი გენერატორის გაშრობა, აგრეგატი მზადაა დატვირთვის ქვეშ გამოსაცდელად.

ამ ჟამად მიმდინარეობს გენერატორების ფარების გამოცდა და ქვესადგურის და მმართველობის დაფის საბოლოოდ მომზადება. 31 აგვისტოდან დაიწყება აგრეგატის თანდათანობითი დატვირთვა სრულ სიმძლავრეზე.

მეორე გენერატორის გაშრობა დაიწყება უახლოეს დღეებში.

ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობათა გამოცდაც წარმატებით მიმდინარეობს. დერივაციის მთელი ათი კილომეტრის გასაწვრივ დაყენებულია 7 საგუშაგო, სადაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში მორიგე საინჟენერო-ტექნიკური პერსონალი თვალყურს ადევნებს ნაგებობებს.

22 აგვისტოსათვის წყლის სიღრმე არხში აყვანილი იქნა 3 მეტრამდე, საზღვრითი უმაღლეს ჰორიზონტამდე დარჩა კიდევ 1,5 მეტრი.

რიონჰესის მშენებლობა დიდ მნიშვნელობას აძლევს არხის თანდათანობით და ნელა ავსებას. ჯერჯერობით **არც გვრაბებში და არც არხში არავითარი დეფექტები არ არის აღმოჩენილი.**

ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობათა გამოცდა მთლიანად დამთავრდება ამ თვის დამლევს. ჯერჯერობით ეჭვილება იოქვას, რომ **რიონჰესი გამოცდას აბარებს სავსებით დამაკმაყოფილებლად.**

ამ პრაქტიკული გამოცდების შემდეგ, რომლებიც დაგვანახვებენ— შეუძლია თუ არა სადგურს მუშაობა, დაიწყება საკვლევაძიებო გამოცდები, რისთვისაც მოწვეული არიან ჰიდრო-ტექნიკის ამერიკა-კავკასიის და ლენინგრადის სამეცნიერო-საკვლევაძიებო ინსტიტუტები; მათი წარმომადგენლები უკვე ჩამოვიდნენ და შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას.

**ინუ. ერისთავი.**

რიონჰესი.

# ჭიათურა

## მარგანეცის ამოღება და გარეცხვა (ტონოგით)

### 24 აგვისტოს 1933 წ.

| | ამოღება | | | გარეცხვა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დავალება | შესრულება | % | დავალება | შესრულება | % |
| **სულ** | 3.789 | 3739 | 98,7 | 1.990 | 1513 | 76.0 |
| **მათ შორის:** | | | | | | |
| ქარხ.-მაღ. № 1 | 98 | 92 | 93,8 | 49 | 41 | 83.6 |
| „ „ № 3 | 180 | 184 | 102,0 | 99 | 135 | 136.3 |
| „ „ № 4 | 344 | 425 | 123,5 | 131 | 98 | 74 8 |
| „ „ № 17 | 244 | 275 | 112,7 | 115 | 121 | 105.2 |
| „ „ № 11 | 688 | 666 | 96.8 | 589 | 218 | 37.0 |
| „ „ № 5 | 298 | 246 | 82,5 | 164 | 174 | 106.0 |
| „ „ № 25 | 622 | 705 | 113,3 | 324 | 281 | 86,7 |
| „ „ № 29-30 | 681 | 609 | 96.5 | 303 | 298 | 98.3 |
| „ „ № 33 | 242 | 224 | 92,5 | 147 | 147 | 100.0 |
| მაღარო № 36 | 442 | 313 | 70,8 | — | — | — |
| ქარხანა № 27 | — | — | — | 69 | არ უმუშავია | |

# გადავსეროთ რესპუბლიკა საჰაერო მიმოსვლის ახალი ხაზებით

**ერთი თვის შემდეგ უნდა გაიხსნას ტფილისი—სოხუმის საჰაერო ხაზი**

**სამოქალაქო ავიაციის ა.-კ. სამმართველომ აღუთქვა პარტიას და ხელისუფლებას, რომ ოქტომბრიდან გახსნის რეგულიარულ მიმოფრენას საქართველოს მაგისტრალურ საჰაერო ხაზზე — ტფილისი-სოხუმს შორის. სამოქალაქო ავიაციის ა.-კ. სამმართველომ რომ შესძლოს ამ თავისი დაპირების შესრულება, ამისთვის მას დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და განსაკუთრებით ადგილობრივმა კომკავშირულმა, პროფესიულმა და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა.**

**ტფილისი-სოხუმს შორის რეგულიარული მიმოფრენის გასახსნელად საჭიროა ორი წინაპირობა: 1) თვითმფრინავების სათანადო რაოდენობა, რომდენიმე სათადარიგო თვითმფრინავი და 2) მთავარი აეროპორტების და შუალედი აეროდრომების მოწყობა. თვითმფრინავების პარკი საკმაოდ ძლიერიც რომ გვიქნეს მთავარ პუნქტებში (ტფილისში, ქუთაისში, სოხუმში), შესანიშნავი აეროპორტებიც რომ მოვაწყოთ, ამით ამოცანა მაინც არ იქნება გადაჭრილი, რადგან ე.წ. შუალედი აეროდრომების მოწყობა აბსოლუტურად აუცილებელია საჰაერო ხაზის სრული უშიშროებისათვის. ვინ უნდა მოაწყოს შუალედი აეროდრომები და რისთვის არის საჭირო ისინი?**

**ჯერ ერთი, შუალედი აეროდრომები საჰაერო სარაიონთშორისო საჰაერო რეისებისათვის და, მეორე ფრენის დროს საჰაერო ხაზის რომელიმე უბანზე მოტორის მოულოდნელად დაზიანების გამო იძულებითი დაშვებისას თვითმფრინავი დაზღვეული იქნება ყოველგვარი ხიფათისაგან. ასე, თუ შუალედი სადგურები უნდა მოეწყოს—ეგრეში, ხაშურში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ზუგდიდში და ოჩამჩირეში. მანძილი ამ აეროდრომებსა და დიდ აეროპორტებს შორის იმოდენაა, რომ ხაზზე ფრენის დროს სადაც არ უნდა შესწყვეტოს მუშაობა თვითმფრინავის მოტორმა, მიწაზე დაშვება მაინც საიმედო და უხიფათო იქნება, თუ აეროდრომები არ იქნა გამართული შესაძლებელია თვითმფრინავს მოუხდეს სადმე მოუწყობელ ადგილზე დაშვება და საკმაოსანი პატარა ორამიც კი, რომ თვითმფრინავი სერიოზულად დაზიანდეს.**

**შუალედი აეროდრომების მოწყობა — ეს ადგილობრივი აღმასკომების, კომკავშირის და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მოვალეობა და ძირითადი ამოცანაა. მათ უნდა გამოყონ მიწის სათანადო ნაკვეთები, გასწორონ მიწის ზედაპირი, დასთესონ ბალახი, შემოაკეთონ, ააგონ აეროდრომის დარაჯის ბინა, საშვაი მასალის საწყობები და სხვ.**

**აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ადგილებში, როგორც, მაგალითად, ზესტაფონში, აეროდრომისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები გაზაფხულზე მოხნეს და ეხლა ისინი ყველგან ნათესთა დაკავებული, ადგილობრივი ორგანიზაციები მოსავლის აღებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ აეროდრომების კეთილმოწყობას. ადგილობრივმა აღმასკომებმა კატეგორიულად უნდა აკრძალონ აეროდრომებისათვის გამოყოფილი ფართობის მოხნვა და იქ ჭირნახულის დათესვა.**

**გორის, ხაშურის, ზესტაფონის, სამტრედიის, ზუგდიდის და ოჩამჩირეს რაიაღმასკომებმა, პროფესიულმა, კომკავშირულმა და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა დაკვრითი ამოცანად უნდა დაისახონ ადგილობრივი აეროდრომების მოწყობა ოქტომბერამდე.**

## ტფილისის აეროპორტის მშენებლობა დაჩქარდეს

ბრის პირველ რიცხვებამდე.

ტფილისის აეროპორტის უახლოეს დროშივე მოწყობასა და მის გახსნაზე დამოკიდებულია ამიერ-კავკასიის მთელი რიგი საჰაერო მაგისტრალების გახსნა. ტფილისის აეროპორტის მშენებლობაზე შეფობა აიღო ტფილისის საბჭომ, რომელმაც იკისრა აეროპორტის მშენებლობისათვის ხელის შეწყობა, მისი დაჩქარება და სხვ.

**აეროპორტის მშენებლობის ხელმძღვანელები საყვედურით აცხადებენ, რომ მათი შეფის — ტფილისის საბჭოს წარმომადგენლები ერთხელაც არ მისულან აეროპორტზე, არ დაინტერესებულან მშენებლობის მიმდინარეობით, არც პრაქტიკული და არც სხვაგვარი დახმარება აეროპორტისათვის მათ არ აღმოუჩენიათ. აეროპორტის მშენებლობის დასაჩქარებლად ტფილისის საბჭოს უნდა გაეღო 125.000 მანეთი. ჯერ-ჯერობით მას ამ საქმისათვის არც ერთი მანეთი არ გაუღია.**

**სამოქალაქო ავიაციის ა.-კ. სამმართველოს უნდება საკუთარი ძალებით აწარმოოს აეროპორტის მშენებლობა და ეს იზეგეს საბჭოთა შესრულების გაკეთურებას.**

**საბჭოთა ავიაციის ერთთვიურის ჩატარებასთან დაკავშირებით პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა დაავალეს სამოქალაქო ავიაციის ა.-კ. სამმართველოს 10 სექტემბრიდან გადავიდნენ ტფილისის ახალ აეროპორტზე და იქ დაიწყონ მუშაობა. ეს დავალება რომ განხორციელებული იქნეს, საჭიროა მთელი რიგი საშუშაოების დაუყოვნებლივ შესრულება. საჭიროა საწვავ მასალათა საწყობების, ფრონტიანი ანგარების, მგზავრთა დასასვენებელი დარბაზის და სხვა დამხმარე ხასიათის შენობების აგება.**

**ტფილისის საბჭომ უნდა გაიხსენოს, რომ ეგი ტფილისის აეროპორტის მშენებლობის შეფია, მან დაუყოვნებლივ უნდა აღმოუჩინოს დახმარება მშეიბებლობას და უზრუნველყოს ტფილისის აეროპორტის ამუშავება 10 სექტემბრიდან.**

**დ. ლ.**

**დამკვრელი ავია-ინჟენერი ამხ. ჩაჩანიძე**

# განსახკომის კოლეგიის დადგენილება

**კინო-ფილმების თემებისა, ლიბრეტოებისა და სცენარებისათვის საავტორო ჰონორარის გაცემის შესახებ**

1. ვინაიდან საქართველოს სახკინრეწვში არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ხმოვანი და უხმო ფილმების სცენარებისათვის დაწესებული იყო სხვადასხვა ჰონორარი, გამომდინარეობდა შემცდარი და არასწორი დებულებიდან, რაც ვერ აფასებდა უხმო ფილმის, როგორც ახლანდელ ეტაპზე ყველაზე უფრო მსობრივი და პრაქტიკული ფილმის მნიშვნელობას, გაუქმდეს განსხვავება ხმოვან და უხმო ფილმების სცენარების, თემების და ლიბრეტოებისათვის.

2. თემის ავტორობის, ავტორის კვალიფიკაციის და მისაღებ ლიტერატურული მასალის მხატვრულ-იდეური დონის მიხედვით დაწესდეს ჰონორარის შემდეგი მინიმუმი

ა) თემა—1.500 მანეთიდან—3.000 მანეთამდე.

ბ) ლიბრეტო—3.000 მანეთიდან—6.000 მანეთამდე.

გ) სცენარი—6.000 მანეთიდან—12.000 მანეთამდე.

3. ავტორებთან ხელშეკრულებათა დადების დროს აღნიშნული თანხებში გათვალისწინებულ უნდა იქნას თემის, ლიბრეტოს და სცენარის დაწერისათვის საჭირო ყველა ხარჯები (შემოქმედებითი მივლინებანი, თანაავტორობა და სხვ.).

ეს დადგენილება შედგეს ძალაში 1933 წლის 1 სექტემბრიდან.

**ხელმოწერილია ს.ხ. რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარი — ე. ბედია.**

# ქრონიკა

**დრამატურგების თათბირი**

**დღეს, 27 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში შესდგება დრამატურგების თათბირი. დღის წესრიგში დგას ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენება დრამატიულ ნაწარმოებთა კონკურსის შესახებ.**

**დრამატურგების გარდა თათბირზე მოწვეული არიან კინო-სცენარისტები, თეატრალური კრიტიკოსები და სათეატრო დარგის მუშაკები.**

# ჯადრაკი

## შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე

**მერვე ტური**

**ლენინგრადი, 26 აგვისტო (საკ. კორ.).** მერვე ტურში სოროკინმა მფეგო კანს, რომანოვსკიმ — დუზ-ხოტომირსკის, ბოტვინიკმა—ზუბარევს, ალატორცევმა—ფრეიმანს, რაბინოვიჩმა — კირილოვს, რაუზერმა — სავიცკის და ჩეხოვერმა — ბოგატირჩუკს. გოგლიძე — რიუმინის, ვერლინსკი — ლევენფიშის და იუდოვიჩ — ლუხინინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

# დახლის დამკვრელ მუშაკთა რეიდი-ექსკურსია

**ჩამოვიდა ტფილისში**

26 აგვისტოს ბათომიდან ტფილისში ჩამოვიდა დახლის დამკვრელ მუშაკთა რეიდი-ექსკურსია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ — მოსკოვის, ლენინგრადის, ივანოვოს, გორკის და დასავლეთის მხარის სავაჭრო-კოოპერატიული ქსელის ყველაზე მოწინავე, საბჭოთა კულტურულ ბაჭრობის ნამდვილათ განმახორციელებელი დახლის დამკვრელი მუშაკები, სულ 230 კაცი.

**რეიდ-ექსკურსიის მონაწილეებს ტფილისადგურზე შეხვდნენ — კოოპერაციისა და სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის, ცეკავშირის, საქვაჭრობის, ტფილისის სამომხმარებლო კოოპკავშირის და მთელი რიგი სხვა სავაჭრო - კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები და 300-მდე დახლის მუშაკი. სადგურის მოედანზე გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რის შემდეგაც რეიდ-ექსკურსიის მონაწილენი დამზადგა რეიდ-ექსკურსიის მონაწილენი დამზადრებთან ერთად გაემგზავრნენ მუშათა სასახლისაკენ. მსალელობა გადაიქცა დიდ დემონსტრაციათ.**

**ტფილისის საქონელბრუნვის ორგანიზაციის (ეკონომსის ჟურნალი) რეიდ-ექსკურსიის მონაწილეებთან ერთად ბევრ თულ დემონსტრაციებ — ... ...**

**ბოლოსთვი.** აქედან ორკვესტრითა და დროშებით დემონსტრაცია გაემართა რუსთაველის პროსპექტისაკენ.

**გუშინ საღამოს ჩამოსული სტუმრები გაწილებულ იქნენ ჯგუფებად და თვითეული ჯგუფი მიმგარებულ იქნა მალაზიებზე საწყობოო თათბირების ჩასატარებლათ. საღამოს ამხ. ორჯონიკიძის სახ. საზოგადოებრივ შესდგა სტუმრების შეხვედრა ტფილისის მუშებთან.**

**დღეს, რეიდ-ექსკურსიის მონაწილენი გაეცნობიან ტფილისის სავაჭრო-კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობას, ხოლო საღამოს მათი თანდასწრებით შესდგება ტფილისის სავაჭრო ქსელში მომუშავე დახლის მუშაკთა საქალაქო კონფერენცია.**

# ა.-კ. საგზაო საინჟენერო ინსტიტუტში 1933-34 სასწავლო წელს მიღებულთა სია

ამიერ-კავკასიის საგზაო სინჟენერო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1933-34 სასწავლო წლის ინსტიტუტში პირველ კურსზე ჩარიცხული ირიან ქვემოდ დასახელებული პირები

**ქართულ სექტორზე**

არჯევანიძე ე. ნ, არეგაძე ვ.ს., არჯევანიძე პ. მ., ანდღულაძე ვ. მ., ანთელაძე ა. რ., ადეიშვილი კ.ნ, ბარქაია ვ.თ., ბაქრაძე დ. ე., ბეჭვაია გრ. ა., ბარბაქაძე გ. მ., ბერიშვილი ა. გ.; ბოკაძე გ. ბ; ვაჩიბერიძე გ. ს; გუგუშვილი ა. ნ; გოკიელი ი. ს; გელაშვილი გ. გ; გაკაშელი შ. ა; გოგუაძე ლ. ა; გეშაძე დ. ი; გონაძე ი. ნ; გოგუა გრ.; ჯაკაბიშვილი ალ. ს; დუნდუა ა. ა., დოლიძე ნ. გ; ევგენიძე ა. კ; ენუქიძე ხ. ვლ; ზურაბაშვილი დ. ზ; კვირკელია ტ. ო; კაკიტაძე მ. პ.; ქათამაძე თ. ი; კოსტაკი ნ. ნ; კუპუხიძე ს. ი; კვირკელიძე ნ. ი; კვაკაძე ა. ი; კოპაძე გ.თ; კალანდაძე ი. ა; კალანდარიშვილი ალ. კ; კოჩახიძე მ. ა; კვაკაძე ალ. ი; ლორთქიფანიძე გრ. ნ; მაჩვილაძე ა. ნ; მუქვაბიშვილი პ. ვლ; მერკულაკა ალ. ა; მეზვრიშვილი ს. ნ; მარკოზაშვილი ი. ნ; მგელაძე ი. ი; მელქაძე ა. თ; მუქერია ნ. ვ; ნოდია ვ. ა; ოქროპირიძე ვ. გრ; ორჯონიკიძე კ. გრ; ოყროშიძე ტ. ვ; პეტრიაშვილი მ. ს; პეტრიაშვილი დ. ი; ფირცხალავა ნ. ა; ფრუიძე შ. ა; საფარიონი გრ. ი; სანიკიძე ი. ე. სხილაძე ალ. მ; სანაძე ნ. ვ; ტუტარაშვილი ე. ზ; ტატანაშვილი ა. ვ; ტალახაძე ნ. ი. უკლება კ. ნ; ხახვიაშვილი ნ. ა; ხარაძე მ. მ; ხოფერია ნ. კ; ხორბალაძე ი. ვ; ხუბერიშვილი ი. ვ; ჩოგორაძე ვ. ა; ცინცაძე სევ. ს; წიქარიშვილი კ. კ; ცქიტიშელი ბ. პ; ცინცაძე ა. კ; ჩილოჩავა ა. თ; ჭოჩიშვილი ს. ვ; ჩიქოვანი ვ. ფ; ჩაია ნ. ნ; ჩიტონაშვილი ზ; ჩარეა ლ. ბ. ჩხაიძე ბ. ვ; შარაშიძე ი. ვ; ყაფლიშვილი ა. ბ; ქავთარაძე ბ. ა; ნოზაიძე ი. თ; ცერაძე მ. ნ; სარაული დ. ნ; პაიჭაძე ვ. ა; ჩადუნელი ბ. ნ;

**სომხურ სექტორზე**

არაქელიანი თ. ა; ალაიანი ა. ვ; არუთიუნიანი ა. ს; ანტონიანი ბ. ა; ბდოიანი ბ. ბ; გრიჩიანი ვ. ბ; გასპარიანი ა. ა; გუნიანი ტ. ს; გევორქიანი ბ. ტ; კაგრამანიანი ბ. შ; მიქაელიანი რ. ტ; მარკოსიანი მ. ა; ნიკოგოსოვი ს. ნ; ოსიპოვი ფ. ო; პოღოსიანი ტ. ა; პეტროსიანი მ. მ; სოიათიანი ბ. ტ; სარქისიანი ბ. მ; შახნაზარიანი ო. ბ;

**რუსულ სექტორზე**

აგანჯანოვი მ. ნ; ალშანგი ბ. ბ; ანტონიანი მ. მ; ანტონოვი მ. ნ; აბგაროვი ნ. მ; ასატურიანი ა. ბ; ავიაზო�ა ა. ვ; ალაბერდოვი მ. ბ; ბაირამიანი ბ. კ; ბაღდასაროვი ვ. შ; ბუტულოვი ვ. ა; ბინასთიანი ი. ტ; ბოროზკოვი ვ. მ; ვარდანოვი ლ. ს; ვიდულოვი ა. ა; ვაგანიანი ო. ვ; ვასილიევი ვ. ბ; ვერასსიმოვი რ. ი; გიულუმიანი ს. ა; გორსკი ა. ვ; გამიოენოვი ვ. ი; გრიგორიანი ი. ო., დანდურიოვი ა. ბ; ეგიანი ლ. ა.; ესაიანი ა; ი; ესაიანი ა. ა; კონჩაკოვი ნ. ვ; კლდიაშვილი მ. ვ. კრიბელი ი. მ., კაზარიანი შ. ნ; ლიაოსკი ა. ი.; ლეშკევიჩი ვ. ვ; ლოსეი პ. მ; ლებედევი ა. ი; ლეონი ე. ა; მკრტჩიანი ა. ბ; მასენკო ი. მ; მნაცაკანოვი ხ. კ. მიუსკი ს. ნ; მირზოშნიჩენკო ე. პ; მურადოვი მ. ი; ნემალეევი ტ. პ; ოსიაშვილი ა. ი; პაპანდოპულო ა. ს; პოჩიკიანი ვ. მ; პინიაგინა მ. ა; პაველენკო—ბოკია ბ. პ; სოკოლსკაია მ. ნ; სააკოვა რ. ა; სკრიბნიკოვი ე. ტ; სარატიკიანი თ. ი; ტანდოეი ბ. ა; ტორიოშვინი ლ. ი; თათიეოსიანი ჯ. ა; ურუშაძე იგ. ა; ფილიპოვა ლ. დ; ხარატანი ა. ს; ცეტვაცა ა. ი; შარაპოვი ვ. ჯ; ერილთაევ ვ. კ; იაროვი ბ. ბ; შეიკინი ო. ვ; ბ. ბუბნოვი ლ. ბ; სერგბრიანსკი ბ. ო; ავაზოვი. ი. ა; ბურენკო მ. ნ; ტერ-ყაზარიან ლ. ს; ფარემუზოვი მ. ო; ელიოზიშვილი ბ. კ;

**თურქულ სექტორზე**

აბასოფი მ; ალიევი ი. ბ; ალიევი ბ. ბ; ბაგიროვი ა. ბადალოვი ს. ა; გუსეინოვი ბ., ბადერლი ი. რ; მირზოტაევ ი.ს; წულაია ვ. კ; ეფენანაძე ბ. მ; ხელაძე ლ. ი; ჯორბენაძე ვ. ი; სოსელია ნ. ა; სალარიძე ბ. ი; ჩიტაძე შ. ი; ხუნდაძე ბ. ბ; კარაპეტიანი ა. ბ; შოშიაშვილი მ. ი; მეტბრიშვილი ვას. ს., მარკოზოვი ა. დ; მატინიანი ს. ბ; ნასაბოვი ა. ს; სერებრიაკოვი რ. ბ; მიქაელიანი ბ. ი; მურადიანი კ. ბ; ოგანეზოვი ა. ს;

ყველა ზემოდადასახელებული სტუდენტები ვალდებულნია გამოცხადნენ აღრიცხვაზე ინსტიტუტის კადრების სექტორში 27-დან 29 აგვისტომდე ჩათვლით. ვინც არ გამოცხადდება, გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.

ინსტიტუტის დირექცია აცნობებს ყველა სტუდენტებს და პროფესორ პედაგოგთა შემადგენლობას, რომ ინსტიტუტში მეცადინეობა ყველა კურსებსა და სექტორებზე დაიწყება 1-ლ სექტემბერს. პროფესორ-პედაგოგთა შემადგენლობას წინადადება ეძლევათ 29 სექტემბერს გამოცხადდნენ სასწავლო ნაწილში განრიგის გასაცნობად.

**ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ფრიდლიძე**

# პარტპალენდარი

**27 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე ს.კ.პ. (ბ) ცეკას კადრების განყ. ამხ. კვირიკაძესთან მოწვეულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრენ შემდეგი ამხანაგები: შ. მგელაძე, ქაკაურიძე, ვარნაზოვი, მამინოშვილი, ლომიძე, გულეთიანი, შაფათავა, დათუნაშვილი, ესებუა, დანელია, ვაშაკიძე, ფრანგიშვილი (მილიციის მთავარი სამმართველო), ცხოვრებაშვილი (ორგაღრიცხვა), კარაპეტიანი (სახმ. კომ.), ჯაფარიძე (სახ. გამომც.) ცატურია (ტფ. კ.), აფოპიი (სახ. პოლიტ. სამმართველო), შარაშიძე (მომ. სახკომი), შარიქაძე, ჭიკინაძე, (გზტრანსი), ჩხეიძე (ფინსახკომი), თოფურია (ო.რ.ტ.ო.), ლასკარი (საჰაერო ფლოტი).**

—:—

**27 აგვისტოს საღ. 7 საათზე ნ.კ.პ.(ბ) ც. კ. აგიტმასგანყოფ. ქალთა სექტორი იწვევს თათბირს, სავალდებულია შემდეგი ამხანაგების დასწრება: ნ. მგელაძე, თ. დუგლაძე, ლურსმნაშვილი, ლუბა ენუქიძე (ტფ. საზ. კვება), პაველიშვილი (სამტრესტი), სიხარულიძე (ტრაქტორცენტრი), ეკვანაია (სამოწ.მ საბ. მეურნ. კავშირი), ო. კიდაანი, ია.ო ფანცხავა, პაველ ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი მიზ. შავარდნაძე და ჯ. ჩიტაია მწუხარებით აუწყებს სახლობადოებას ამხანაგისა და მეგობრის**

**სიმონ ხუნდაძის**

**გარდაცვალებას. 951**

# ამ. ს.-პ. საგზაო საინჟენერო ინსტიტუტში 1933-34 სასწავლო წელს მიღებულთა სია

ვ; ხუბუმანი ლ. გ; სერგბრიანსკი ბ. ო; ავაზოვი. ი. ა; ბურენკო მ. ნ; ტერ-ყაზარიან ლ. ს; ფარემუზოვი მ. ო; ელიოზიშვილი ბ. კ;

**თურქულ სექტორზე**

აბასოფი მ; ალიევი ი. ბ; ალიევი ბ. ბ; ბაგიროვი ა. ბადალოვი ს. ა; გუსეინოვი ბ., ბადერლი ი. რ; მირზოტაევ ი.ს; წულაია ვ. კ; ეფენანაძე ბ. მ; ხელაძე ლ. ი; ჯორბენაძე ვ. ი; სოსელია ნ. ა; სალარიძე ბ. ი; ჩიტაძე შ. ი; ხუნდაძე ბ. ბ; კარაპეტიანი ა. ბ; შოშიაშვილი მ. ი; მეტბრიშვილი ვას. ს., მარკოზოვი ა. დ; მატინიანი ს. ბ; ნასაბოვი ა. ს; სერებრიაკოვი რ. ბ; მიქაელიანი ბ. ი; მურადიანი კ. ბ; ოგანეზოვი ა. ს;

**ყველა ზემოდადასახელებული სტუდენტები ვალდებულნია გამოცხადნენ აღრიცხვაზე ინსტიტუტის კადრების სექტორში 27-დან 29 აგვისტომდე ჩათვლით. ვინც არ გამოცხადდება, გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.**

**ინსტიტუტის დირექცია აცნობებს ყველა სტუდენტებს და პროფესორ პედაგოგთა შემადგენლობას, რომ ინსტიტუტში მეცადინეობა ყველა კურსებსა და სექტორებზე დაიწყება 1-ლ სექტემბერს. პროფესორ-პედაგოგთა შემადგენლობას წინადადება ეძლევათ 29 სექტემბერს გამოცხადდნენ სასწავლო ნაწილში განრიგის გასაცნობად.**

**ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ფრიდლიძე**


**მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „კომუნისტ“-ზე სექტემბრის თვისათვის და წლის ბოლოამდე**

**ყველა საფოსტო განყოფილებებთან და „სოიუზპეჩატ“-ის ორგანიზატორებთან.**

სახლობერა

27 აგვისტოდან დაიწყება

**მე-2 მორიგი შემოტანა ყველა აბონემენტებზე.**

შემოტანა იწარმოებს საბონემენტო სალაროში 11 ს. 2 საათამდე და 6 ს. 8 საათამდე. ნ. 280

**სახკინმრეწვის კინო-თეატრები:**

| | | |
|---|---|---|
| საზაფხულო | თეატრი 8-20, 9-40, 11. | სახალხოგარეთული კომედია **ნეპტუნი** |
| | **დამკვრელი** 8-20, 9-40, 11. | **ქარა ტაუს საიდუმლოება** პრ. გარ—სკ № 13. |
| | **ტემბი** 8-20, 9-40 11. | ამერიკული კომედია **ბებიის შვილისშვილი** |
| | **კომინტერნი** (დიდუბე) 9, 10-30 | მხატვრული ფილმი **ბელია** პრ. გარ—კლარა ცეტკინას ხსოვნას. |
| | **ოქტომბერი** 7, 8-45, 10-30. | საქკინმრეწვის ნაწარმოები **ნათელა** |
| | **დამკვრელი** 7-30, 9, 10-30. | მხატ. ფილმი **მაძლიმ მაძლიმიჩ** პრ. გარ—სკ. № 14. |
| | **რ. ლუქსემბურგის** 7, 8-45, 10-30 | მხატვრული კომედია **პროცესი ჯ მილიონის შესახებ** |
| | **ხპარტაკი** 7-30, 9, 10-30 | სახკიო. ნაწარ. **ვინ არის დამნაშავე** პროგ. გარეშე—სკ. 17. |
| | **მეცნიერება დ ტექნიკა** ა. 9-30 | **ზრონტის უბანი** პრ. გარ—მეცნიერება და ტექნიკა № 3 |
| | **საბავშო** კინო დღის 12 და 2 საათზე | საბ. ფილმი **ძველის მფლობელნი** პრ. გარ. კულტ. და დასვენების პარკი. |

თანახმად საქ. სარეწაო კოოპერაციის ფეიქარსამკერვალო-სატრიკოტაჟო კავშირის სისტემაში შემავალ არტელების: ა) **„ხატრიკოტაჟო წარმოება“**-ს, ბ) **„წითელი ფეიქარი“**-ს, და გ) **„წითელი ტრიკოტაჟი“**-ს საერთო კრების დადგენილებისა ზემოდ ჩამოთვლილი არტელები

**შეერთებულია ერთ არტელად სასელწოდებით საფეიქრო-სატრიკოტაჟო არტელი „შეერთებული ძალა“**

**გამგეობის მისამართი:** სარეწაო კოოპერაციის ქ. № 42, (ტელ. № 30—26).

ანგარიშისწორების ანგარიში სახბანკის საქ. კანტორაში № 105167.

ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, ვისაც რაიმე ურთიერთობა ჰქონდა აღნიშნულ არტელებთან ამის შემდეგ მიმართონ არტ. „შეერთებული ძალა“-ს გამგეობას.

977 **არტელის გამგეობა.**

**საქ. სატყავო ტექნიკუმში**

**მიღების პირობები**

**ტექნიკუმში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. შვიდწლედის დამთავრების მოწმობა.
2. წლოვანობის.
3. სოციალური წარმოშობის

და ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველ დღე.

ტექ